



619
1974
ეროვნული
ბიბლიოთეკა









# დროშა

აგვისტო
№ 8 1974 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა





პოლკოვნიკი პავლე რომანის ძე პოპოვიჩი

ინჟინერ-პოდპოლკოვნიკი იური პეტრეს ძე არტიუხინი

# ახალი შეტევა კოსმოსურ სივრცეში

კოსმოსური სივრცის კვლევის პროგრამის შესაბამისად საბჭოთა კავშირში დედამიწისირგვლივ ორბიტაზე გაიყვანეს „სალუტ-3" სამეცნიერო სადგური და შემდეგ გაუშვეს „სოიუზ-14" სატრანსპორტო ხომალდი, რომელშიც იყო ეკიპაჟი — ხომალდის მეთაური საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი პოლკოვნიკი პ. რ. პოპოვიჩი და ბორტინჟინერი პოდპოლკოვნიკ-ინჟინერი ი. პ. არტიუხინი.

„სოიუზ-14" ხომალდის ეკიპაჟმა განახორციელა შეპირაპირება „სალუტ-3" ორბიტულ სამეცნიერო სადგურთან და ამ სადგურში გადასვლის შემდეგ 15 დღე-ღამის განმვალობაში ასრულებდა მეცნიერულ-ტექნიკური და სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევისა და ექსპერიმენტების ვრცელ პროგრამას.

მთლიანად შეასრულეს რა „სალუტ-3" პილოტირებულ სადგურზე სამუშაოთა დაგეგმილი პროგრამა, კოსმონავტებმა დედამიწაზე დასაშვებად მოამზადეს. „სოიუზ-14" სატრანსპორტო ხომალდი. ხომალდის დასაშვებ აპარატში გადაიტანეს მეცნიერული კვლევის მასალები, ფოტო და კინოფირებიანი კასეტები, საბორტო ჟურნალები.

„სოიუზ-14" ხომალდი და „სალუტ-3" სადგური ერთმანეთს დაშორდნენ და ცალ-ცალკე განაგრძეს ფრენა.

1974 წლის 19 ივლისს „სალუტ-3" პილოტირებულ ორბიტულ სამეცნიერო სადგურზე კვლევის თხუთმეტდღიანი პროგრამის შესრულების შემდეგ, კოსმონავტები ამხანაგები პ. რ. პოპოვიჩი და ი. პ. არტიუხინი დედამიწაზე დაბრუნდნენ. აპარატი დაეშვა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის გათვალისწინებულ რაიონში.

„სალუტ-3" სადგური განაგრძობს ფრენას ავტონომიური რეჟიმით.

წარმატებით დამთავრდა „სალუტ-3" ორბიტული სადგურისა და „სოიუზ-14" სატრანსპორტო ხომალდის ერთობლივი ფრენის დროს მეცნიერულ-ტექნიკური კვლევის გათვალისწინებული პროგრამა.

მიღებულ მეცნიერულ მონაცემებს ამუშავებენ და სწავლობენ.

ამრიგად, საბჭოთა მეცნიერებამ და ტექნიკამ, გმირმა კოსმონავტებმა კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს კოსმოსური სივრცის ათვისების გზაზე.

მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მუშებს, ყველა კოლექტივსა და ორგანიზაციას, რომლებიც მონაწილეობდნენ „სალუტ-3" ორბიტულ სამეცნიერო სადგურისა და „სოიუზ-14" სატრანსპორტო ხომალდის ფრენის მომზადებასა და განხორციელებაში, საბჭოთა კოსმონავტებს ამხანაგებს პავლე პოპოვიჩს და იური არტიუხინს მისალმება გაუგზავნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ბრეჟნევმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. პოდგორნიმ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. კოსიგინმა და მხურვალედ მიულოცეს პარტიისა და მთავრობის დავალების წარმატებით შესრულება.

# პარტიის დავალებას შევასრულებთ!
# პარტიის განაწესს განვახორციელებთ!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმი, რომელმაც განიხილა დიდმნიშვნელოვანი საკითხი: „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებანი და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ალმა-ათაში გამოსვლის მიხედვით, ღირსშესანიშნავი ნიშანსვეტი გახდა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებაში. პლენუმმა ღრმად და ამომწურავად განსაზღვრა პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების, ყველა მშრომელის საბრძოლო ამოცანა უახლოესი წლებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ახლა ცხოვრობენ იმ წარუშლელი შთაბეჭდილებით, რომელიც მოახდინა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ“. ეს ისტორიული დადგენილება, რომელშიც დასახულია ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარების, ადამიანთა მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლების კონკრეტული, მეცნიერულად დასაბუთებული, გზები, დიდი მადლიერებისა და კმაყოფილების გრძნობით ავსებს და აფრთოვანებს საქართველოს მშრომელებს.

თითოეულ ჩვენგანს ახლა ღრმად აქვს შეგნებული, რომ პარტიისა და მთავრობის ამ დადგენილების განხორციელება, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში მტკიცედ და განუხრელად გატარება, საბჭოთა საქართველოს ხვალინდელი დღეა, მისი კიდევ უფრო ნათელი და ბედნიერი მომავალია!

აი, ამიტომაც არის, რომ ყველა, ისე როგორც ერთი, ახლა განსაკუთრებული მონდომებით, განსაკუთრებული თავდადებით იბრძვის სახალხო მეურნეობის ყველა ფრონტზე. ამ საყოველთაო-სახალხო ლაშქრობის ავანგარდში, როგორც ყოველთვის, კომუნისტები დგანან.

ქართველი ხალხის შრომითი ენთუზიაზმი, მისი შემართება, მისი ფიქრი და მისწრაფება ამომწურავად აისახა იმ წერილში, რომელიც საქართველოს კომუნისტთა 310 ათასიანმა არმიამ ამას წინათ გაუგზავნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტთა წერილს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის შემდეგ, გულმოდგინედ განიხილავდნენ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმებზე, აქტივისა და პირველადი პარტორგანიზაციების კრებებზე. ყველგან იწონებდნენ და ერთსულოვნად უჭერდნენ მხარს. ეს კოლექტიური დოკუმენტი საქართველოს კომუნისტთა ურღვევი ერთიანობის, მონოლითური



## ერთია ჩვენი სიტყვა და საქმე!

შეკავშირების, კომუნისტური პარტიისადმი, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისადმი უსაზღვრო ერთგულების ახალი, მკაფიო გამოვლინებაა.

საქართველოს კომუნისტთა ეს შემართება მკაფიოდ გამოიხატა სიტყვებში, რომლებიც ჩაწერილია საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი გაგზავნილ წერილში: **„დღეს ყველგან, თვითეულ კოლექტივში მაღალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა სუფევს. ჩვენს სახელოვან მუშათა კლასს, ჩვენს შრომისმოყვარე კოლმეურნე გლეხობას, ჩვენს სახალხო ინტელიგენციას ახლა განსაკუთრებით მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი პირნათლად შესრულონ ხუთწლედის, მისი მეოთხე, განმსაზღვრელი წლის დავალებანი, მთლიანად განახორციელონ პარტიისა და მთავრობის დადგენილება, ამ დიად, კეთილშობილურ საქმეს მოახმარონ მთელი თავიანთი შემოქმედებითი ენთუზიაზმი, მთელი თავიანთი შემოქმედებითი ენერგია, მთელი სული და გული და ამით თავიანთი ღირსეული დიდი წვლილი შეიტანონ ჩვენი ქვეყნის კომუნისტურ მშენებლობაში“.**

ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის გასულ თვეებში გაწეული თავდადებული მუშაობის შედეგები ნათლად გვიჩვენებენ, რომ საქართველოს მშრომელები წარმატებით იპყრობენ მათ წინაშე დასახულ ზღუდეებს.

ახლა, როგორც ეს საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი საქართველოს კომუნისტთა მიერ გაგზავნილ წერილშია აღნიშნული, ბევრი რამ არის იმაზე დამოკიდებული თუ როგორ გავირჯებით ფაბრიკა-ქარხნების საამქროებში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ზვრებსა და პლანტაციებში, რამდენად დავაჩქარებთ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, რამდენად სწრაფად განვახორციელებთ პარტიისა და მთავრობის დადგენილებით დასახულ ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ფართო პროგრამას.

შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხოთ საქართველოს კომუნისტთა წერილი, რომელშიც მთელი ქართველი ხალხის სახელით ნათქვამია, რომ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები კვლავაც არ დაიშურებენ ძალ-ღონეს, რათა პარტიისა და მთავრობის ზრუნვის საპასუხოდ წარმატებით შეასრულონ მათ წინაშე დასახული დავალება, განუხრელად განახორციელონ პარტიის განაწესი!

**„საბჭოთა საქართველოს შემდგომი ეკონომიური და კულტურული აყვავებისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის პასუხად რესპუბლიკის მშრომელები კისრულობენ ახალ გადიდებულ ვალდებულებებს, იღებენ შემხვედრ გეგმებს.** — ნათქვამია წერილში, — **აფართოებენ სოციალისტური შეჯიბრების რიგებს, რომელიც ახალ ძალებს იკრებს, ახალ სიმაღლეებს ეუფლება, ახალი გაქანება ეძლევა. ახლა შეჯიბრებაშია ჩაბმული რესპუბლიკის მილიონ ორასი ათასზე მეტი მუშა და მოსამსახურე, დღითიდღე მატულობს ამ შრომითი ასპარეზობის მონაწილეთა რიცხვი.**

**პარტიისა და მთავრობის ზრუნვის პასუხად აღვუთქვამთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და პირადად ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს:**

**— პარტიის დავალებას შევასრულებთ!**

**— პარტიის განაწესს განვახორციელებთ!“**

ჭეშმარიტად დიდებული სიტყვებია! ეს სიტყვები, ეჭვი არ არის, საქართველოს მშრომელთა რკინისებური ნებით სულ მალე რეალობად იქცევა!

**ერთია ჩვენი სიტყვა და საქმე!**

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 8 (452) აგვისტო. 1974 წ.

გამოცემის წელი 51-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა", 1974





გარეკანის პირველ გვერდზე: მხატვარი-კერამიკოსი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დოცენტი ალდე კაკაბაძე და მისი რამდენიმე ნამუშევარი.

ფოტო თარხან არჩვაძისა

მთავარი რედაქტორი რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, ა. მინდაძე, გ. ნატროშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ი. ჭაბალუა, შ. ჯაფარიძე

ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი
კორექტორი ტ. თაბორიძე

# ლუთი და ცოცხა ფოლადი

გივი ჯახუა

ფოტო თ. არჩვაძისა

საშუალო ტანის ვაჟკაცმა საყელო აიწია და ნაბიჯს აუჩქარა, მერე მზერა ცისკიდურს შეავლო. მზის ამომავალ სხივებში მარტენის კვამლი ცისარტყელას ფერებად ხერავდა მტრედისფერ ცას. ცადაწვდილ მილებს შორის მესამე გამოარჩია, რომელიც მსუბუქად, მოცისფროდ ბოლავდა...

„ეტყობა, ღუმელი წყნარ დუღილზე გადაიყვანეს. მალე, ალბათ, ნადნობს გაუშვებენ", — გაიფიქრა მან.

...საამქროში იური გურგენიძე ჩვეული სიდინჯით იძლეოდა ნადნობის გაშვებისთვის საჭირო განკარგულებებს.

მეფოლადეებმა ერთმანეთი მოიკითხეს, მერე საქმეზე გადავიდნენ.

— ღუმელი ყოველმხრივ წესრიგშია, მხოლოდ რიგითი შეკეთების დრო ახლოვდება და ქვედი აქა-იქ გამომწვარია! — ჩაბარა პატაკი თავის შემცვლელს იურიმ.

— რემონტამდე კიდევ ოცი დნობა თუ მოვახერხეთ, კარგი იქნება, — დაფიქრებით უპასუხა ბონდომ.

— თუ კარგად მოვუვლით, შეიძლება მეტიც მოვახერხოთ! — მეგობრის ბოლო სიტყვები ჩამტვირთავი მანქანის გუგუნმა დაფარა.

მიმდინარე რემონტამდე თითოეულ ღუმელზე გეგმით 350 დნობაა გათვალისწინებული. მეშვიდე ღუმელის მეფოლადეები ადრე 20-30 ნადნობით მეტს უშვებდნენ, ეს ცოტა მოგებას როდი აძლევდა ქარხანას.

და აი, ბონდო ჩააფიქრა ამ გარემოებამ. ხომ არ შეიძლება კიდევ უფრო მეტად გახანგრძლივდეს ღუმელის ექსპლოატაცია?!

— სარემონტოშორისო პერიოდის გახანგრძლივება ჩვენი უპირველესი ამოცანაა, — ამბობს ბონდო, — ახლა განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გამოუყენებელი რეზერვების გამოვლენასა და ათვისებას. მომავალი წლისთვის ჩვენი შემხვედრი გეგმა რეზერვების ამოქმედებასაც ითვალისწინებს. ვინც თავის პროფესიას ღრმად არის დაუფლებული, უყვარს თავისი საქმე, მან კარგად იცის, თუ სად და როგორ მიაგნოს საჭირო რეზერვს. მთავარი პასუხისმგებლობა, მონდომება და საქმისადმი სიყვარულია. მარტენში თუ თითოეული ღუმელის სარემონტოშორისო დროს, სულ ცოტა, 20-25 დნობით გავახანგრძლივებთ — გეგმით გათვალისწინებული 350 დნობის ნაცვლად 370 და მეტ ნადნობს გამოვუშვებთ. ამით, ცხადია, მნიშვნელოვნად შემცირდება ღუმელების მოცდენა, დაიზოგება საწვავი, ელექტროენერგია და გაცილებით მეტ პროდუქციას მივიღებთ.

ძალზე დაგვაინტერესა ბონდო ჩემიას წინადადებამ. მაგრამ რამდენად რეალურია იგი? რას ეყრდნობა ღუმელის სარემონტოშორისო ვადების გადიდების ვარაუდი? ამ კითხვით მივმართეთ საამქროს უფროსს გურამ ქაშაკიშვილს.

— ბონდო მართალია, როდესაც რეზერვს ღუმელთა სარემონტოშორისო დროის გახანგრძლივებაში ეძებს. ეს ამოუწურავი საშუალებაა. თუ მეფოლადეები ზუსტად დაიცავენ ფოლადის დნობის ტექნოლოგიურ პროცესს, ღუმელის თბურ რეჟიმს, ცხადია, ღუმელი უფრო დიდხანს გაძლებს. მოდით, ციფრების ენა მოვიშველიოთ. ყოველწლიურად საამქროში ღუმელების შეკეთება საშუალოდ 22-ჯერ ხდება. ყოველ მიმდინარე რემონტს 7 დღე-ღამე სჭირდება. თუ თითოეული ღუმელის სარემონტოშორისო პერიოდს გავახანგრძლივებთ, დაზოგილ დროში, სულ ცოტა, 3.500 ტონა ფოლადს გამოვადნობთ! — გვიხსნის გურამი და მაშინვე დასძენს:

— დღეს ბონდოს ბრიგადამ ლეგირებული ფოლადი უნდა გამოადნოს. ეს მეტად რთული საქმეა, რადგან იგი განსაკუთრებულ ტექნოლოგიას მოითხოვს. თანაც ნადნობი ჩქაროსნული უნდა იყოს.

ცვლის დაწყებას ათი წუთი აკლია. ბონდო და მისი თანაშემწეები უკვე ღუმელთან ტრიალებენ. ღუმელის გაწყობა გეგმით 20 წუთს ითვალისწინებს. ბონდომ და მისმა თანაშემწეებმა მარჯვედ იმუშავეს და ხუთი წუთი მოიგეს. ამასობაში ელმავალმა ჯართითა და მადნით დატვირთული ვაგონები შემოაგორა. ბონდომ წუთითაც არ დააყოვნა, ღუმელის წინა კარი სწრაფად გაათავისუფლა და მემანქანეს ანიშნა, ღუმელის ჩატვირთვა დავიწყოთო. ეს პროცესიც მეტად შრომატევადია — მას 2 საათი და 30 წუთი სჭირდება. აქაც თუ მოიგებს დროს, დნობა, მართლაც, ჩქაროსნული იქნება!

ჩამტვირთავი მანქანა ზედიზედ იტაცებს მადნით სავსე როფებს და ხორთუმით ღუმელში ცლის. აი, მორიგ ულუფად ღუმელში კირქვაც ჩაუმატეს. სულ ბოლოს ღუმელში 35 ტონა ჯართი ჩატვირთეს. ბონდომ მხოლოდ ახლა დახედა საათს — ჩატვირთვას 15 წუთით ადრე მორჩნენ.

აი, კიდევ ერთი რეზერვი! თუმცა ამის შესახებ უმჯობესია ისევ მარტენის საამქროს უფროსს გურამ ქაშაკიშვილს მოვუსმინოთ:

— ყველაზე დიდი და საიმედო რეზერვი ჩატვირთვისთვის განკუთვნილი დროის მაქსიმალური შემცირებაა. ეს რეზერვი შესაძლებლობას გვაძლევს მომავალი წლისთვის უფრო მომგებიანად გავიაზროთ ჩვენი შემხვედრი გეგმა. ამის საილუსტრაციოდ ისევ ციფრებს უნდა მივმართოთ: წე-

## ე რ თ ი ა ჩ ვ ე ნ ი

ლიწადში ჩვენ საშუალოდ 7 ათას ნადნობს ვუშვებთ. თუ მეფოლადეები ყოველ ჩატვირთვაზე 15 წუთს მოიგებენ, მაშინ წელიწადში 105 ათას წუთს დავზოგავთ. ამ დროში კი 30 ათას ტონა ლითონს გამოვადნობთ! ქარხანამ უკვე გადადგა ნაბიჯი ამ რეზერვის ასათვისებლად.

...ჩატვირთვის შემდეგ მეფოლადეებმა სარკმლები დახურეს და ტემპერატურის რეგულირებას შეუდგნენ. ახლა მთავარია ღუმელი თანაბრად და გეგმაზომიერად გახურდეს. ამისათვის ოცდაათი წუთია საჭირო და ეს დროც ზუსტად გამოიყენეს. ბონდომ სადისპეტჩეროს აცნობა, თუჯის ჩასხმის დროაო. ელმზიდმა ვეება ციცხვი შემოაგორა და 105 ტონა თხევადი თუჯი ღუმელში ჩაასხეს. ტემპერატურამ უმალ მიაღწია საჭირო დონეს. მებრძმედეები ხშირად დროულად ვერ აწვდიან თუჯს და მემარტენეები იძულებულნი არიან ღუმელში ცივი თუჯი ჩაამატონ. ეს დნობას ახანგრძლივებს. ამიტომაც მეფოლადეები, არცთუ ისე იშვიათად, მებრძმედეთა მიმართ სამდურავს გამოთქვამენ ხოლმე. თუჯის ჩასხმის შემდეგ დნობის პროცესი იწყება. აქაც შეიძლება დროის მოგება. ამის საშუალება ბონდოს შემცვლელმა მეფოლადემ იური გურგენიძემ გამონახა. მან ღუმელში ჟანგბადის დამატებით დიდად დააჩქარა ლითონის დნობა.

ბონდომ ეს სიახლე შეისწავლა და პრაქტიკაში დანერგა.

უკვე ორი ათეული წელია, რაც ბონდო ჩემია მარტენის ღუმელთან ტრიალებს. ცხაკაიელი ვაჟკაცი რუსთავში თავის უფროს ძმას, ამჟამად მარტენის საამქროს საჩამომსხმელო უბნის უფროს ოსტატს გიორგი ჩემიას ჩამოჰყვა. ბონდო პირველად სოციალისტური შრომის გმირთან, მეფოლადე ამირან ფანცულაიასთან დააყენეს ხელშემწყობად. მალე პირველ ხელშემწყობად დააწინაურეს, შემდეგ ღუმელი ანდეს. დღეს ბონდო ჩემია საუკეთესო მეფოლადეა.

— მეფოლადისათვის ცოდნა და გამოცდილება აუცილებელია, მაგრამ ეს ყველაფერი როდია, — გვეუბნება მარტენის საამქროს უფროსი ოსტატი ვაჟა გიგიბერია, — მთავარია ადამიანს თავისი საქმე უყვარდეს. აი, მაგალითად, მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლისთვის რვავე ღუმელის მეფოლადეებმა ერთნაირი ვალდებულება აიღეს, მაგრამ ნაკისრი ვალდებულება ყველამ როდი შეასრულა. გასული წლის პირველ 9 თვეში მეორე, მესამე, მეოთხე, მეექვსე და მეშვიდე ღუმელების მეფოლადეთა ბრიგადებმა გეგმის გადამეტებით 14 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ლითონი გამოადნეს. პირველი, მეხუთე და მერვე ღუმელის მეფოლადეები ჩამორჩნენ, სახელმწიფოს 11 ათასი ტონა პროდუქცია დააკლეს. ვინც პასუხისმგებლობით მოეკიდა საქმეს, თავი ისახელა და ქარხანაც ასახელა.

...ბონდომ ლურჯი სათვალე მოიმარჯვა, სარკმლიდან გახედა ლითონის დუღილს. მარტენში მზესავით ელვარებდა ლითონის მასა. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ საკუთარ გუმანს არ ენდო, საკონტროლო-საზომი ხელსაწყო მოიშველია — თერმოწყვილით გაზომა ფოლადის ტემპერატურა.

მეფოლადეს აქ დიდი სიფრთხილე და საზრიანობა სჭირდება. განსაკუთრებით საპასუხისმგებლოა წუნარი დუღილის პროცესი — ლითონის გამოშვების წინა პერიოდი. ასეთ დროს ზოგჯერ ვეტერანი მეფოლადეც კი ტყუვდება — გახედავს სარკმლიდან, ლითონი ოქროსფრად ლივლივებს. ხელსაწყოც საჭირო ტემპერატურას უჩვენებს. მაგრამ გაუშვებენ ნადნობს და აღმოჩნდება, რომ ლითონი არ ყოფილა მოხარშული. მეფოლადეები ამას ცივ ნადნობს ეძახიან. ასეთი ნადნობი წუნია. ბონდო ჩემიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას ცივი დნობის არც ერთი შემთხვევა არ ჰქონია. ბონდოს მიერ გამოშვებული პროდუქცია ყოველთვის მაღალხარისხოვანია და დაკვეთას შეესაბამება.

ასეთია მისი დღევანდელი ნადნობიც. ლითონმა მოთეთრო ფერი გადაიკრა — დნობა დასასრულს უახლოვდება. ბრიგადირმა უბის წიგნაკი ამოიღო, რაღაც ციფრები ჩაიწერა. შემდეგ იქვე აღნიშნა— 6 საათი და 10 წუთი. ეს იმას ნიშნავდა, ბონდო ჩემიამ ერთი საათით და 50 წუთით შეამჭიდროვა დნობისთვის განკუთვნილი დრო!

— გაუშვით! — გასცა განკარგულება ბრიგადირმა. თანაშემწეებმა სწრაფად მიაშურეს ღუმელის უკანა მხარეს და რკინის ძალაყინით ხვრელი გაჭრეს. იფეთქა ცეცხლის ალმა, ოქროს ნიაღვარი ღვართქაფად ჩაეშვა 200 ტონიან ციცხვში.

მეფოლადეთა ბრიგადის თავკაცი თვალებანთებული შესცქეროდა თუ როგორ ივსებოდა ოქროსფერი ფოლადით ვეება ციცხვი. დაზოგილი დრო, დაზოგილი წუთები ბოყვებში ფოლადის ზოდებად იქცეოდნენ. ეს კი ნიშნავდა ათობით ტონა ზეგეგმურ მილებს, ნაგლინს, ფოლადის ფურცლებს...


ეროვნული ბიბლიოთეკა



ზემოთ: ბონდო ჩემია.

ქვემოთ: მარცხნიდან — ბონდო ჩემია, საამქროს პარტბიუროს მდივანი ნოშრევან შევარდენიძე და უფროსი ჩამომსხმელი რომან მჭედლიშვილი.

# სიტყვა და საქმე!



ქარხნის ერთ-ერთი უბანი.



შემდუღებლები: რაია კუზნეცოვა და ტატიანა კილინა.

დავით ასკურავა

ფოტო თ. არჩვაძისა

მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის შესახვედრად. საბჭოთა ადამიანები წინასაყრილობო შრომით ვახტზე იდგნენ. ყველა ცდილობდა ახალი წარმატებებით ხელდამშვენებული შეხვედროდა ყრილობის გახსნას.

ჩვენი ქვეყნის გემთმშენებლობის საკონსტრუქტორო ბიუროში სწორედ მაშინ შეიქმნა მსოფლიოში პირველი წყალქვეშაფრთიანი თბომავლის „კომეტას“ მოდელი, რომლის ტექნიკურ დოკუმენტაციაში ჩაიწერა: „სიგრძე — 35 მეტრი, გაბარიტული სიგანე — 11 მეტრი, ძრავას სიმძლავრე — 21.000 ცხენის ძალა, მგზავრთა ტევადობა — 116 სული, საექსპლოატაციო სიჩქარე — 32 კვანძი“.

სპეციალისტებმა არჩევანი ფოთის სერგო ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელ ქარხანაზე შეაჩერეს. სწორედ აქ, სასახელო შრომითი ტრადიციების მქონე საწარმოში უნდა დაბადებულიყო მსოფლიოში პირველი წყალქვეშაფრთიანი თბომავალი.

საერთო კრებამ, რომელიც ხომალდის აშენების საკითხებს იხილავდა, ერთხმად გადაწყვიტა, რომ პირველი „კომეტა“ ყრილობის გახსნის წინ გამოეშვათ და ფოთელ მშრომელთა მისალმება ყრილობისადმი სწორედ ამ პირველი თბომავლით გაეგზავნათ მოსკოვში.

— იყვნენ სკეპტიკოსებიც, — იგონებს წარსულ ამბებს ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი აკაკი ინწკირველი, — ზოგიერთი ორჭოფულად უყურებდა ჩვენს გადაწყვეტილებას, მაგრამ უკან არ დაგვიხევია, ვიცოდით, თავდადებული შრომითა და მონდომებით აუცილებლად მივაღწევდით წარმატებას.

განვლილ სიძნელეებს ადამიანი შედარებით იოლად იხსენებს ხოლმე. მითუმეტეს მაშინ, როცა მიზანი უკვე მიღწეულია, მაგრამ აბა წარმოიდგინეთ ფოთელ გემთმშენებლებს რამდენი ფიქრი, შრომა, უძილო ღამე და სიძნელის გადალახვა მოუხდათ, ვიდრე უმოკლეს ხანში შესძლებდნენ თავიანთი გადაწყვეტილება განეხორციელებინათ.

სახელოვანმა კოლექტივმა ამჯერადაც ისახელა თავი. ჩვენი პარტიის XXII ყრილობას ფოთელმა გემთმშენებლებმა ახალი გამარჯვება უპატაკეს და მათი ხელით დამზადებული პირველი „კომეტით“ გაუგზავნეს მისალმება.

●

„კომეტის“ სერიულ წარმოებაში უამრავმა სიძნელემ იჩინა თავი. უპირველეს ყოვლისა, არ იყო საჭირო რაოდენობის სპეციალური მოწყობილობა, აკლდათ მანქანა-დანადგარები, რაც მთავარია, არ ჰყავდათ პროფილის შესაბამისი სპეციალისტები.

გემთმშენებლები თანდათან იკრებდნენ ძალას. სპეციალისტდებოდნენ ახალგაზრდა კადრები, შემჭიდროვებულ ვადებში ითვისებდნენ ურთულეს ტექნიკას. გზადაგზა თვით პროექტიც იხვეწებოდა.

საერთო მონდომებას არ შეიძლებოდა გამარჯვება არ მოჰყოლოდა. ასეც მოხდა. შრომისნაყოფიერების ყოველდღიურმა ზრდამ წლის ბოლოს ზეგეგმითი პროდუქცია მისცა ფოთელ გემთმშენებლებს.

ეს გამარჯვება მიმდინარე ხუთწლედის პირველი წლის ბოლოს იზეიმეს. შემდეგ ახალი, სპეციალური საამქრო ჩადგა მწყობრში და ახლადაშენებული „კომეტების“ რიცხვი თანდათან გაიზარდა.

●

საამქროში, სადაც მსოფლიოში სახელგანთქმული „კომეტა“ მზადდება, 18 ეროვნების წარმომადგენელი მუშაობს.

მოვიყვანთ რამდენიმე საგულისხმო ფაქტს: „კომეტის“ მშენებელ საამქროში მთელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა თერთმეტი პროცენტი მუშაობს, აქ გამოშვებული პროდუქცია კი საერთო პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს.

ყოველი სამუშაო წუთის რაციონალურად გამოყენების მნიშვნელობა აქ ისევე კარგად ესმის ახალბედა მუშას, როგორც სახელმოხვეჭილ დამკვრელს. საქმისადმი ასეთ მიდგომაშია სწორედ საამქროს მიერ სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატების საფუძველი, ახალგაზრდობის მუშური სინდისით აღზრდის წინაპირობა, შრომის კულტურისა და დისციპლინის ამაღლების დედაწყარო.

არონ ბატნერი ქარხნის უხუცესი მუშაა. იგი სწორედ საქმისადმი ასეთი სიყვარულითა და მუშური პასუხისმგებლობის გრძნობით ზრდის თავის შეგირდებს.

დარიგებამ, პირადმა მაგალითმა, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულმა თავისი გააკეთა. ქარხანაში სამუშაოდ მოსული ბიჭები: რევაზ სიგუა, ნიკოლოზ კარაჯა, ალექსანდრე ტიხონოვი ახლა არა მარტო საამქროში, მთელს ქარხანაში ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე მუშები არიან.

— ეს ხომ ასეა, მაგრამ ჩემი პატივისცემა ის იქნება, თუ უკეთ იმუშავებთ, ვიდრე მე ვმუშაობდი, უფრო მეტს გააკეთებთ, ვიდრე მე გავაკეთე, უფრო მეტ სახელოვან სპეციალისტს აღზრდით, ვიდრე მე აღვზარდე, — ეუბნება არონი თავის ბიჭებს.

ბიჭები იღიმებიან, შეფარული სიყვარულითა და პატივისცემით შესცქერიან ოსტატს. ამ ღიმილში კი მათი მტკიცე გადაწყვეტილება იგრძნობა: ეს დარიგებაც შეუსრულონ საყვარელ ოსტატს.

არონ ბატნერი და მისი ბიჭები დასავლეთის ჭიშკრისაკენ მიეშურებიან. ამ ჭიშკრიდან საამქროს რკინიგზის ხაზი აკავშირებს გემმისადგომთან.

აქ კი მოლურჯო-მომწვანო ფერის ტალღებზე ნელ-ნელა ირწევა საამქრო-

# „კომეტა" ფრთებს შლის

დან ეს-ეს არის გამოყვანილი ხომალდი. აი, სწორედ ამ უბანში ხდება „კომეტას" საბოლოო დამუშავება, ძრავისა და სამართავი მოწყობილობის მონტაჟი, რადიოაპარატურისა თუ სალონის გამართვა-მოწყობა.

გემბანზე საშუალო ტანის, მზემოკიდებული კაცი დგას და გაცხარებით რაღაცას ელაპარაკება მუშებს. ეს კაცი თურმე მთავარი გემთმშენებელი ვახტანგ ზოდელავაა.

— რა ვქნა, ცოტა გავცხარდი, — გვეუბნება ვახტანგი და მზემოკიდებულ სახეზე ღიმილი უკრთის, — პატარა წვრილმანიც რომ არ გავითვალისწინოთ, შევრცხვებით და ეგ არის!..

მთავარი გემთმშენებელი, რა თქმა უნდა, მართალია, აქ განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. ხომალდის სალონის ჭერისა და კედლების საამო ტონს ერთი ხარვეზიც რომ დააჩნდეს — ყველაფერს გააფუჭებს. საგულდაგულოდ გაპრიალებულ დეკორაციულ პანელებზე ხრახნის თავმა რომ ოდნავ მაინც ამოჰყოს თავი — არც ეს ეპატიებათ ფოთელ გემთმშენებლებს...

„კომეტა" უკვე სახელმოხვეჭილი ხომალდია. სახელს კი მოვლა და გაფრთხილება სჭირდება.

●

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დათვალიერებისას მაღალი შეფასება მისცა ფოთის სერგო ორჯონიკიძის გემთშემკეთებელ ქარხანაში დამზადებულ „კომეტას".

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თვით უცხოური ფირმების წარმომადგენლებიც კი იძულებულნი გახდნენ ქება-დიდებით მოეხსენიებინათ ჩვენებური „კომეტა".

აი, რა განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი უდიდესი ფირმის „ნორტ ამერიკენ კორპორეიუმის" მთავარმა სპეციალისტმა რობერტ ბაიერმა: „საბჭოური წარმოების „კომეტები" დღეისთვის ერთ-ერთი საუკეთესოა დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში წარმოებულ ამ ტიპის ხომალდებს შორის. 1,8 მეტრი სიმაღლის ტალღებზე „კომეტამ" აჩვენა 38 საზღვაო კვანძი. ეს წარმოუდგენელია!"

ეს სიტყვები რობერტ ბაიერმა წარმოთქვა ტრინიდადში გამართულ მსოფლიოს წყალქვეშაფრთიანი ხომალდების დათვალიერებისას, სადაც ჩვენმა „კომეტამ" ერთხმად მოიპოვა პირველი ადგილი.

„კომეტისადმი" მიძღვნილი მსგავსი ქება-დიდების მოყვანა კიდევ ბევრი შეიძლება.

●

„კომეტას" საზღვაოსნო მაღალი თვისებები, მისი ტექნიკური სრულყოფა და კონსტრუქციული დახვეწა დღეს არავისათვის არ არის საეჭვო. იგი მიჩნეულია საერთაშორისო სტანდარტების დონეზე დამზადებულ ხომალდად. ამ მძლავრმა და სწრაფმა თბომავალმა თავისი უჩინარი ფრთებით, მყუდრო სალონით, განიერი ფანჯრებით, რომლებიც მგზავრებს ყოველი მიმართულებით უხსნის ხედს და რბილი, მარეგულირებელ-საზურგეებიანი სავარძლებით სამართლიანად დაიმსახურა საყოველთაო აღიარება. მაგრამ ეს უკვე მიღწეულია, ასე ვთქვათ, დღევანდელი დღეა.

როგორი იქნება „კომეტა" ხვალ? უპასუხებს თუ არა იგი მომავლის მოთხოვნებს? ამ კითხვებით მივმართეთ ქარხნის მთავარ ინჟინერ ზაურ არჩაიძეს.

— ჩვენი უმთავრესი საზრუნავია „კომეტის" ტიპის წყალქვეშაფრთიანი ხომალდების ტექნიკური ბაზის გაფართოება, — გვითხრა მთავარმა ინჟინერმა, — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ ჩვენი თხოვნა დააკმაყოფილა, შეგვიქმნა ყველა პირობა წარმოების გასაფართოებლად. ცხადია, ხომალდის ტექნიკური რეკონსტრუქციაც მოხდება. მისი სისწრაფე, სულ მცირე, 40 კვანძამდე გაიზრდება, რაც ძირითადად ძრავების სისტემის შეცვლით მოხდება. ხომალდზე დავდგამთ გაზის ტურბინებს, სალონის რეკონსტრუქციის ხარჯზე გავზრდით მის ტევადობას, გავაუმჯობესებთ მოპირკეთებას, სანავიგაციო მოწყობილობას... ისე რომ, ქართული „კომეტა" უფრო სწრაფი, ლამაზი და მოხერხებული იქნება მგზავრებისთვის.



ქარხნის მთავარი ინჟინერი ზაურ არჩაიძე (მარცხნივ) ბულგარელ მეზღვაურებს გადასცემს გემის დოკუმენტაციას.



ზეინკლები: ძმები როინ და გურამ გორდელაძეები.

მარცხნიდან: ნიკოლოზ შალინი, ანატოლი ლოგუნოვი, ალექსეი შალინი და ალექსანდრე ტიხონოვი.







გამოჩენილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს გრიგოლ აბაშიძეს დაბადების 60 წელი შეუსრულდა. უკვე ორმოცი წელია ქართველი საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს გრიგოლ აბაშიძის შემოქმედებას — მისი შესანიშნავი ლირიკული და ეპიკური პოეზია, მოთხრობები, რომანები, პიესები, თარგმანები და ლიტერატურულ-ესეისტური წერილები საყოველთაოდაა ცნობილი არა მარტო ჩვენში, საქართველოში, არამედ საკავშირო ასპარეზზეც და უცხოეთშიც.

„დროშის" რედაქცია და სარედაქციო კოლეგია დიდი კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავენ, რომ ჩვენი სახელოვანი იუბილარი ათი წლის მანძილზე დიდი პასუხისმგებლობის გრძნობითა და შემოქმედებითი შთაგონებით რედაქტორობდა ჩვენს ჟურნალს.

დღეს, დაბადების 60 წლისთავზე, გულითადი სიყვარულით ვესალმებით გამოჩენილ მწერალსა და მამულიშვილს, გამოვთქვამთ ღრმა რწმენას, რომ დღემდე ასე სახელოვნად ვალმოხდილი მოღვაწე მომავალშიც ასევე ღირსეულად, სასახელოდ მოიხდის ვალს მშობელი ხალხის, მისი დიდებული კულტურის, ქართულ საბჭოთა მწერლობის წინაშე.

„ᲓᲠᲝᲨᲘᲡ" ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ



მეგობრული
შარჟი
მწერალ
ᲗᲔᲜᲒᲘᲖ
ᲒᲝᲒᲝᲚᲐᲫᲘᲡᲐ

1966 წელი. რუსთაველის საიუბილეო დღეები. მარცხნიდან: გრიგოლ აბაშიძე, ალიო მირცხულავა, გიორგი მარკოვი, ალექსი სურკოვი, ნიკოლოზ ტიხონოვი და სერგი ჭილაია.

გრიგოლ აბაშიძე რუს და ქართველ მეგობრებს შორის, მაიაკოვსკის ძეგლის საძირკვლის ჩაყრაზე თბილისში.

გრიგოლ აბაშიძის ოჯახს წყნეთში სტუმრად ეწვივნენ ანა კალანდაძე და გრიგოლ ხერხეულიძე.

ფოტო
Თ. ᲐᲠᲩᲕᲐᲫᲘᲡᲐ დ᲎ Ო. ᲗᲣᲠᲫᲘᲐᲡᲘ

მასპინძელი დაღლილი ჩანდა და შეწუხებული.

— მობრძანდით, მობრძანდით, — მიწვევს იგი, მერე თავს ძალას ატანს და ორიოდე წუთში უქეიფობა იოტის ოდენაზეც არ ეტყობა, — კახეთში გახლდით... ზვრები დავათვალიერეთ, მევენახეებს შევხვდით. დაუხეტყვავს, ძალიან დაუხეტყვავს ბევრი სოფელი... გუშინ თუ ახობით მექტარი ვენახს ნახვით თვალი ვერ ძღებოდა, ახლა გადაჩეგილია იქაურობა... მაგრამ, — იმედის ღიმილი ეფინება, — კახელები გვაიმედებენ, ჩვენ ჩვენსას მაინც ვიტყვით, ბუნებას არ დავეჩაგვრინებით. ყველაფერს ვიღონებთ, რომ იმდენი ყურძენი მოვიყვანოთ, რამდენსაც ჩვენგან ელიანო...

საუბარი უნდა გაგრძელდეს.

— ბატონო გრიგოლ! თქვენ ახლა კახეთს როგორც მწერალი იყავით თუ როგორც საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი?..

— იცით, — ოდნავ გაოცებულია მასპინძელი ამ შეკითხვით, — ასე დაყოფა/საჭიროა ვითომ? მე, როგორც მწერალსა და დეპუტატს, უბრალოდ, როგორც მოქალაქეს, არ შემეძლო კიდევ ერთხელ არ მივსულიყავი მშრომელ ადამიანებთან, არ მეთქვა მათთვის გულითადი სიტყვა. ჭირში თანადგომობა კაცს ამხნევებს...

...ცოტა ხნის შემდეგ, საუბარი ფეხბურთზე ჩამოვარდა.

— ვინ გაიმარჯვებს? ობიექტური ვითარება სხვაა, სუბიექტური სურვილი — სხვა. ალბათ,



# ᲬᲣᲗᲨᲔᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲝᲪ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲖᲔ

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდი გაიმარჯვებს. ჰოლანდია? ჩემი თვალით არ მინახავს. ისე, ინფორმირებული კი ვარ, ვიცი, ვიცი, კარგი გუნდია. მაგრამ შიონს რას გაუგებ. მითუმეტეს, თავის მოედანზე თამაშობს. მოგებით ყველაფერს იგებს, წაგებით ყველაფერს აგებს. პირადად მე პოლონელების მოგება გამეხარდებოდა. შედარებით პატარა ქვეყნის გუნდს რომ მსოფლიო ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეუძლია, ხასიათოვნოა. ბრაზილიელები... იმდენი არავის გაუკეთებია ფეხბურთისთვის უკანასკნელი თხუთმეტ-ოცი წლის მანძილზე. მაგრამ, როგორც ჩანს, ცხოვრება ერთ ადგილზე არა დგას. ესენი უპელეოდაც ისე ცდილობენ ითამაშონ, პელესთან ერთად რომ თამაშობდნენ... გამოუვათ ვითომ რამე?! კრუიფი?.. ჰო... მაგარია. არ მინახავს. აი, ჩემთვის დღეის ეტაპზე ბეკენბაუერია ნანიმუში ფეხბურთელი. უნივერსალურია, ჰარმონიული.

მგონი საუბრის ძაფი გაიბა.

მასპინძელი თვალს ჰკიდებს ჩემს წიგნს — ესეაა ვიყიდე. „მზითვის წიგნებია", „მეცნიერებამ" გამოსცა. ფურცლავს.

— ოჰო! მოუსმინე ერთი, — ლევან დადიანს თავისი დისთვის რა მიუცია მზითვად!

მიკითხავს:

„...დიდრონი ობოლი მარგალიტი ოცდათხი, მის ქვეშეთ მარგალიტი ას ოცდაშვიდმეტი... ერთი დავითნი... ერთი ჟამნი... ერთი ვეფხისტყაოსანი... ერთი პატიოსანი, სახახელოდ ზრდილი გამდელი ერთის ცხენოსნის მოახლითა, ორი სხვა მოახლითა და ორის მსახურითა... (იცინის: ხად ვიშოვო ახლა მე ერთი პატიოსანი, სახახელოდ ზრდილი გამდელი!). პირველი მოახლე... მეორე მოახლე... მეშვიდე მოახლე მანგი... მერვე მოახლე იაგუნდისა... მეათე მოახლე ხანდომისა... მეთერთმეტე მოახლე გმირისეული... ერთის მარგალიტის გულისპირი, ორიათასის მარგალიტითა და შვიდის ოქროს მუშამბის ღილებითა"... ჰო, მოუსმინე, მოუსმინე: ამდენი და ამდენი ობოლი მარგალიტიო, ამდენი და ამდენი ბადახშანის ლალიო, იაგუნდებიო, ფირუზიო, ზურმუხტიო, ცხრა ოქროს ბეჭედიო, ახლა კაბებიო — „ერთი თეთრი ფრანგული ატლასის კაბა, მეორე ცისფერი ფრანგული ატლასის კაბა, მესამე იისფერი ფრანგული ატლასის კაბა, მეოთხე ყირმიზი... მეხუთე, ყვითელი ფრანგული ატლასის კაბა, მეექვსე ოქროქსოვილი... მეცხრე შავის ფრანგულის ქამხის კაბა..."

მერე, მოუსმინე, კიდევ მოუსმინე: ერთი კარგი ცხენიო, უნაგირში ყირმიზი, იაგუნდი ხამახი უზისო, ლაგამს უზისო თვალი ორმოცდახუთი და ოცდახუთი ბალთა.., ..საფარეშო ცხენები და ხაბარგო ცხენები ათი. სამუაბლო ცხენი თორმეტი..." ყველაზე მაგარი ესაა, ხომ იცი... მინაწერს მოუსმინე: „ამ ხელად ეს მოგვირთმევია და ამას უკანჩვენი თავი და საბატონო და ჩვენი დარბაისელი მაგათ ხელთ შემოგვიგდიაო"...

სათვალეს იხსნის, იცინის:

— რა ვქნა ახლა მე, ამისთანა მზითვის გაწყობას რას მოვასწრებ.

მე ვეუბნები, რომ შვილის გაბედნიერება უძვირფასესი საჩუქარია იუბილარი მამისთვის და ვულოცავ.

— ისე სამოცი წელი არ უნდა იყოს მაინცდამაინც დიდი... — ვაპარებ.

— მმ... გააჩნია... ისე, ხანდახან წლის გადაცილებულ კაცს მოხუცს ეძახის, ბალღობაში, რა ... ბალღობაში, ჭაბუკობაში ... ცოტა ... მოცი წელი მებევრებოდა... ახლა, მართალი გითხრათ, არცა მჯერა, რომ უკვე ამ ხნისა ვარ.

და მოულოდნელად:

მსოფლიო ჩემპიონატის თამაშებს ვუყურებ და მინდა დავიჯერო, რომ ჩვენც შეიძლება გვქონდეს დიდი ფეხბურთი, იმედი მეძლევა... ხომ მსოფლიო ვარსკვლავები თამაშობენ იქ, მაგრამ ნუ შევცდებით და ვკითხოთ ჩვენ თავს: აბა, რომელ ნაკრებში ვერ ითამაშებდნენ პაიჭაძე და ლოლობერიძე, ჭეჭელავა და მესხი, იამანიძე...

ამ უშუალო ემოციამ, შეფარულმა ნაღველმა და თანამემამულეთა ნიჭის რწმენამ ყველაზე მეტად გააცხადა ჩემთვის, რომ სამოცი წელი ცოტაა კაცისთვის, ვისაც სხვათა შემართება და ლვაწლი ახარებს... ამ სამოცი წლის კაცმა კი უკვე დაწერა ფრიად მნიშვნელოვანი, ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში მტკიცედ დამკვიდრებული ნაწარმოებები — მშვენიერი ლირიკული ლექსები, თვალსაჩინო პოემები — „შავი ქალაქის გაზაფხული", „გიორგი მეექვსე", „ძლევის ქედი", „ზარზმის ზმანება", ისტორიული რომანების ტრილოგია — „ლაშარელა", „დიდი ღამე" და „ცოტნე დადიანი ანუ ქართველთა დაცემა და აღზევება", მძაფრი სოციალური პრობლემატიკით აღბეჭდილი რომან „ყორნალის" პირველი წიგნი, პიესა „მოგზაურობა სამ დროში", მოთხრობები, აურაცხელი თეორიული და პუბლიცისტური ნაწარმოები, ბევრი რამ თარგმნა ევროპული და აღმოსავლური პოეზიიდან.

— ჩემს ჭაბუკობაში რომელ ჭარმაგ ადამიანებთან ვყოფილვარ ახლო? ვისთან ვმეგობრობდი? ჭარმაგობამდე ბევრმა მათგანმა ვერ მოაღწია მიზეზთა და მიზეზთა გამო, მაგრამ ჩემს ახლობლებში ჩემზე დიდად უფროსები იყვნენ, დიდად უფროსებიც და იმდენად ნიჭით ბედნიერნი, რომ ახლაც მეამაყება მათთან ახლო ყოფნის გახსენება. აბა, ვინ, უმცროსი თუ თუნდაც უფროსი რომელი კალმოსანი არ იამაყებდა ნიკო ლორთქიფანიძესთან, მიხეილ ჯავახიშვილთან, შალვა დადიანთან, გერონტი ქიქოძესთან, გალაკტიონთან სიახლოვით... მე ხომ მაშინ ძალზე ახალგაზრდა ვიყავი, ძალზე ახალგაზრდა!.. ტიციანისა და პაოლოს, თითქმის მათი კბილა გიორგი ლეონიძის სითბოც მახსოვს, ზრუნვა და ამაგი. შემდეგ ცხოვრებამ გიორგი ლეონიძესთან კიდევ უფრო დამაახლოვა. ამას წინათ ჰორაციუსის ტომში გაყვითლებული ფურცელი ვნახე. ლევან ასათიანმა გადმომცა თავის დროზე. პაოლო გამოხმაურებია ჩემს ლექსებს, ... ვერ დავმალავ, მოხწონებია. მახსოვს, პაოლო იყო პოეზიის სექციის თავმჯდომარე. მაშინ მივიტანე „ჩვენს თაობაში" რამდენიმე ლექსი. მოსწონებია, მერე პოეზიის სექციაზე ჭერ ტიციანმა წაიკითხა ლექსები, მერე პაოლომ — თავისი საბავშვო ლექსები, მოლოს მეც — წარმოიდგინეთ ჩემი სიხარული და სიამაყე! — ... მოიწონეს. ... ხშირად ... ახეთი რამ?.. ბევრი ამხანაგი და მეგობარი მყავს, მაგრამ აღარ არიან ამ ქვეყნად ჩემი უახლოესი, უსაყვარლესი მეგობრები — გიორგი შატბერაშვილი, ნიკო ტატიშვილი, ედიშერ ყიფიანი... განუმეორებლად კეთილშობილი ხალხი. გოგი შატბერაშვილთან თითქმის მთელი ჩემი ყრმობა გავატარე, სოფელშიც ავდიოდით ხოლმე მასთან... მირზა, რევაზ მარგიანი, მე, სხვები... რამდენი რამა მაქვს გასახსენებელი... ზემო რგანელი ვარ, ჭიათურელი... რგანში შალვა დადიანია დაბადებული. ბავშვობა იქ გავატარე... შვიდწლედი ჭიათურაში დავამთავრე, მერე თბილისში ჩამომიყვანა პროფესორმა ალექსანდრე წერეთელმა, ცნობილმა ისტორიკოსმა... სკოლაში მომაწყო... გვიანი იყო, ოქტომბერი... ადვილი საქმე არ გახლდათ. ალ. წერეთელი ჩემი ნათესავი იყო. მან დიდი როლი შეასრულა ჩემს ცხოვრებაში. პირველი ლექსები ათი წლისამ დავწერე. ჩემს სოფელზე იყო, მახსოვს... ოცდათერთმეტში პირველად დავბეჭდე ლექსი, მგონია, ასე ერქვა: „სიმღერა უკანასკნელ კალმახზე". ყვირილა რომ შავი მოდიოდა, კალმახი ისპობოდა... აი, რა დროიდან მოდის ტკივილი!.. უკალმახობა იქნება?!. კაცი ბუნებას, სულიერს თუ უსულოს, თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდეს.

თითქოს პირი შევკარითო, ბოლოსთვის გადავდევით თვითონ იუბილარის შემოქმედებაზე საუბარი. საუბრის თემა თვითონ მინდა აირჩიოს — ხომ ვიცი, ბოლოს მაინც ხად გაალწევს საუბარი.

(ვფიქრობ, რომ პასუხებით იგულისხმება, თუ რა რიხი პასუხი იყო).

— ბედნიერი ვიყავი იმით, რომ უნივერსიტეტში ჩემი მასწავლებლები იყვნენ კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, მიხეილ ზანდუკელი... განსაკუთრებით ახლო ვიყავი ვახტანგ კოტეტიშვილთან, რომელმაც იცოდა სტუდენტების გამორჩევა და მათზე საოცრად







# სიმღერა საქართველოზე

ქართველ მხატვართა უკანასკნელი ნამუშევრები მონუმენტურ-დეკორატულ დარგში ნათლად მეტყველებენ იმ დიდ მიღწევებზე, რომელთა წყალობით საბჭოთა სახვითი ხელოვნების ამ მეტად მნიშვნელოვან სფეროში აქცენტმა ჩვენს რესპუბლიკაში გადმოინაცვლა. ჩვენ არ გვერიდება ასეთი თამამი განცხადებისა, რადგან ამ ფაქტმა, შეიძლება ითქვას, უკვე საყოველთაო აღიარება ჰპოვა. მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნებისა თუ ხუროთმოძღვრებისა და სახვითი ხელოვნების სინთეზისადმი მიძღვნილი არცერთი თანამედროვე ნაშრომი, სიმპოზიუმი თუ კონფერენცია არ ჩაივლის ისე, რომ ქართველ მონუმენტალისტთა ნამოღვაწარი პირველ პლანზე არ იქნეს წარმოდგენილი. აქ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მხატვრული ხარისხის ამაღლებასთან ერთად ფართოვდება მხატვართა წრეც, რომელიც საბჭოთა სახვითი ხელოვნების, დღეისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან დარგს ემსახურება.

იმ მხატვართა შორის, რომლებმაც მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნების განვითარების საქმეში გამოიჩინეს თავი, გამოირჩევა ნიკოლოზ იგნატოვის სახელი, დიდი დიაპაზონისა და მკაფიო ინდივიდუალური ტალანტის მქონე მხატვრისა. შედარებით ახალგაზრდა მხატვარმა უკვე ჩამოაყალიბა თავისი მხატვრული კრედო, და მეთოდურად ავითარებს მას თანდათანობით, დაბეჯითებით.

მხატვრის შემოქმედებით ბიოგრაფიაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მისი ნამუშევრები მონუმენტურ ფერწერაში, რომლებიც ერთ საერთო ციკლშია გაერთიანებული და „სიმღერა საქართველოზე" ჰქვია. ეს ციკლი ორი კომპოზიციისაგან არის შემდგარი და ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში — თბილისსა და ბიჭვინთაშია განხორციელებული.

პირველი კომპოზიცია კურზალის მთელ გვერდით კედელს ფარავს სასადილო დარბაზში. მთლიანად მოხატული ეს კედელი მძლავრ ფერადოვან მაბვილს ხვამს ინტერიერის დიდ, თავისუფალ სივრცეში. ფრესკა თითქოს საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ პანოს წარმოსახავს. XVII საუკუნის გამოჩენილი ქართველი მოაზროვნისა და მწერლის სულხან საბა ორბელიანის ნაწარმოებთა ცნობილი მოტივები და სახეები ორგანულადაა ჩართული. საქართველოს ცხოვრების ბუნებრივი თავისებურებისა და ხასიათის პოეტურ გამოსახვაში, რითაც მთელ მოხატულობას ეპიკური ჟღერადობა ენიჭება. ხალხური ტრადიციები თან ახლავს ფრესკის მთელ კომპოზიციას.

ჩვენი საუბრის თემა ამჟამად ციკლის მეორე კომპოზიციაა, რომელიც თბილისში, ფუნიკულიორის ზედა სადგურის ინტერიერშია მოთავსებული; მაგრამ ბიჭვინთის მოხატულობა თავისებურ საფეხურს წარმოადგენს მისთვის და ამიტომ ბუნებრივია, რომ ისიც ორიოდ სიტყვას მოითხოვს. ბიჭვინთის მოხატულობაში ტალღისებრ განლაგებული მთები ავსებენ სურათის მთელ სიბრტყეს და იმ ქარგას წარმოადგენენ, რომელზედაც აგებულია ცალკეული სურათებისაგან შედგენილი ერთიანი კომპოზიცია, რომელიც ორგანულად აერთებს სოფლის სცენებსა თუ პოპულარულ ლეგენდების სიუჟეტებს. საერთო მოლურჯო-მოყავისფრო კოლორიტში ქათქათა თეთრი ღრუბლები ხაზს უსვამენ ცალკეულ სცენებს და იმავე დროს ერთ მთლიანში აერთიანებენ კომპოზიციას.

ცალკეული სცენების მრავალფეროვნებითაა წარმოდგენილი მეორე პანოც, რომელიც ფიროსმანის სამყაროს ეძღვნება. მაგრამ აქ მხატვარი სცენებისათვის „ნეიტრალურ" ფონს აღარ ტოვებს, მთელი კომპოზიცია გაჯედილია სხვადასხვა სიუჟეტისაგან შემდგარი ფრაგმენტებით და ქალაქის ამ პეიზაჟში უმთავრესს მაინც ადამიანთა ფიგურები წარმოადგენენ.

კედლის დიდ სიბრტყეზე (6X12 მ), ფიროსმანის ცენტრალური ფიგურის ირგვლივ, გაცოცხლებულია ძველი თბილისის მთელი ხასიათი. ჩვენკენ ზურგით მდგომ ფიროსმანს, მაყურებელი თითქოს შეჰყავს ამ სამყაროში, ძველი ქალაქის მეტად კოლორიტულ, ალბათ მარტო მისთვის დამახასიათებელ ცხოვრებაში. ხმაურიანი ქუჩაბანდები და მათზე კადმოკიდებული აივნები, ქალაქელთა მრავალფეროვანი მოღვაწეობა, ქუჩებისა და მოედნების ხედები ზედა წერტილიდან, ნატურმორტები ცვლიან ერთმანეთს, ცვლიან და ქმნიან მოძრავ კალეიდოსკოპს, რომელშიაც იცვლება გამოსახულებათა მასშტაბი, თემატიკა, ფერი. იცვლება, მაგრამ არ არღვევს სურათის მთლიანობას, რადგან მხატვარს ბოლომდე აქვს გააზრებული მხატვრული ტილოს შემადგენელი ყველა კომპონენტი.



ნოდარ ჯანბერიძე

მხატვარი ძველი თბილისის ცხოვრების მიწურულ ინტერპრეტაციას იძლევა, მაგრამ მთელი მოხატულობა გაჟღენთილია უკვდავი პრიმიტივის სულით. მისი სურათებით სულჩადგმული, ხაზგასმული დეკორატიულობა კი ასოციაციებს სწორედ ფიროსმანთან იწვევს. აქ არ არის ფიროსმანის ცნობილ კომპოზიციათა რაიმე გამეორება, მხოლოდ მოლბერტის მაგიერ შერჩეულ სკამზე შედგმული ტილოა მამხილებელი მაყურებლისკენ ზურგით მდგომი მხატვრის ვინაობისა. ფიროსმანი კომპოზიციის გეომეტრიულ ცენტრშია მოქცეული, უფრო მეტად რომ იყოს გამოყოფილი, მას „თავისუფალი" გარემოც, მეტი ჰაერი აქვს გარშემო.

თემებისა და პლანების სიმრავლის მიუხედავად, მოხატულობა ერთიან, მთლიან კომპოზიციას შეადგენს, რომელშიც ცალკეული სცენები ისეა ჩადგმული, რომ ეს ერთიანობა არ დაირღვეს. უფრო მეტიც, ცალკეული სცენების გამოყოფისათვის მხატვარი შეგნებულად არღვევს გამოსახულ ადამიანთა თუ ანტურაჟის შეფარდებით ზომებს, მაგრამ ერთიანი მასშტაბურობა მთელი სურათისა არ ირღვევა. ცალკეულ სცენების განლაგება მორჩილებს კომპოზიციის დინამიკურ აგებულებას, რომელიც აშკარად შეინიშნება სხივისებრად გაშლილი მოხატულობის ქვედა ცენტრალური წერტილიდან ნაპირებისაკენ. ეს თავისებური რიტმი ქმნის დაუოკებელ მოძრაობას: მკაფიო ნახატი კი, კონტურის ხაზგასმული გამოვლენა — მთელი მოხატულობის აშკარა დეკორატიულობისაკენ მიუთითებს. მთელი კომპოზიციის მთლიანობისათვის უმთავრესი, რაღა თქმა უნდა, მისი ერთიანი ისეთივე გაჟღენთილი მოწითალო-მოვარდისფრო კოლორიტია. მეტად მაჟორული, თუ შეიძლება ასე ითქვას, ოპტიმისტური ჟღერადობისა.

ნიკოლოზ იგნატოვის ორნაწილიანი ციკლი „სიმღერა საქართველოზე" ქართული მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნების მნიშვნელოვანი წარმატებაა, თავისი სამშობლოს სიყვარულით გულგამთბარი მხატვრის პოეტური თხრობაა. თხრობა — მეტად ემოციური და ამაღლევებელი.

# წუთშესვენება სამოც წლისთავზე

ზრუნავდა. მისი ლექციები არტისტიზმისა და პოეტურობის შერწყმა იყო. მან შეაყვარა ჩემს თაობას ქართული ხალხური პოეზია, რომლის მადლსა და მშვენიერებას ის მთელი არსებით განიცდიდა... სტუდენტობის ამხანაგები... რამდენი რამ მაქვს გასახსენებელი... ერთმანეთს თვალში ვუცქეროდით, ვეთანხმებოდით, არ ვეთანხმებოდით, ერთმანეთს ლუკმას ვუყოფდით, ერთმანეთის ჭირსა და ლხინს ვიზიარებდით... გივი გაჩეჩილაძე, სიმონ ხხირტლაძე, ვახტანგ ჭელიძე, მიხეილ ცვეხელავა, ოთარ ჯინორია, რევაზ მარგიანი, ალექსანდრე ხაჯაია...

...საკითხის ასე დასმა — როგორია ტრადიციულისა და ნოვატორულის ურთიერთმიმართება — „არ ახალია, ძველია". ეს შეკითხვა (არსებითად პრობლემა) ხშირად ისმის. პასუხიც მრავალგვარია. ასე რომ არ იყოს, არც კითხვა გამეორდებოდა. ეს პრობლემა თითქოს მარტივი და ცხადია, მაგრამ, ამავდროულად, რთულია. ყველა ნამდვილი მწერალი თავისებურად ნოვატორი იყო. მაშინაც კი, როცა ჭეშმარიტი შემოქმედი იღებდა მზა სიუჟეტს, ხასიათებს, ფორმასაც კი, ამ სიუჟეტისადმი, ხასიათებისადმი, ფორმისადმი დამოკიდებულება იყო მთავარი, მაშასადამე, შემოქმედის პიროვნება, ნიჭი, ინდივიდუალობა იყო მთავარი. ამ აზრის დამადასტურებელი ბევრი ქრესტომათიული შემთხვევა იცის კლასიკურმა ევროპულმა და აღმოსავლურმა მწერლობებმა. ჩვენს საუკუნეში ნოვატორობის საკითხი სხვანაირად დადგა — ფორმას, გარეგნულ სიახლეებს არსებითი მნიშვნელობა მიენიჭა. კლასიკური ლიტერატურა ის წყაროა, საიდანაც ყველა მწერალი ღებულობდა თავისი შემოქმედების სათავეს. სწორედ კლასიკურ ლიტერატურაშია ჩაბუდებული უმაღლესი ზოგადსაკაცობრიო იდეები და იდეალები... კლასიკა ფლობს „ყველასთვის მისაწვდომობის" საიდუმლოს. ამაში მე ვგულისხმობ, თუნდაც, ასეთ ფაქტს: „დონ-კიხოტში" ყველა მკითხველი პოულობს სათავისოს, ისევე, როგორც „ვეფხისტყაოსანში", თუმცა „დონ-კიხოტიცა" და „ვეფხისტყაოსანიც" ურთულესი ქმნილებებია. შესაძლოა, ეს ცოტა გაბედული ნათქვამიც იყოს, მაგრამ იმდენი „ვეფხისტყაოსანი" არსებობს, რამდენი დონის მკითხველიც ჰყავს. გენიალური ნაწარმოებების სული, არსი და ხიბლი იმდენად „მისაწვდომია", რომ უკვე ეს ზღვარი ქმნილებასა და მკითხველს შორის „წაშლილია". კლასიკურობა ფორმის სრულქმნას გულისხმობს. მაგრამ ჩვენი დროის დასავლურ ლიტერატურაში აბსოლუტური სრულყოფისკენ სწრაფვის აუცილებლობაც მოიხსნა და ამ თვისებას დღევანდელ დასავლეთში თითზე ჩამოსათვლელი მწერლები ინარჩუნებენ. სიტყვას მოჰყვა და, მე მიყვარს თეთრი და თავისუფალი ლექსიც. ვთქვათ, ძველი ბერძნული და რომაული პოეზია, რომლებიც მთლიანად თეთრი ლექსითაა გამართული. ძალიან მიყვარს მაღალი ოსტატობით, ლექსის ორგანიზმებით გამორჩეული სონეტები პეტრარკასი და რონსარისა, ტერცინებით მოთხრობილი დიადი „ღვთაებრივი კომედია", ან ბოდლერის სონეტები... ჩვენს დროში პოეტები იქამდისაც მივიდნენ, რომ ურითმო სონეტებს წერენ და ერთადერთ ნიშანსაც უტოვებენ — თოთხმეტ სტრიქონს... მე, საერთოდ, ფორმის მიმართ შემწყნარებლური პოზიცია მაქვს. ყველაფერი, რაც ჭეშმარიტი პოეზიაა, ყველაფერი, რაშიც სულიერი მღელვარება, გრძნობის სინატიფე იგრძნობა, ნებისმიერი ფორმით გადმოცემული, ჩემთვის საინტერესოა და მისაღებია, მაგრამ გონებისმიერმა ოპუსებმა, რასაც სხვადასხვა „ავანგარდული" მიმართულებები გვთავაზობენ, მე მაინც დღემოკლედ და ლიტერატურის განვითარების ძირითადი მაგისტრალისგან შორსმდგომ მოვლენებად მიმაჩნია. სწორედ აქ დგება ნოვატორობის პრობლემა, — ნოვატორობა არა მარტო მასალის გააზრებაში, არა მარტო იდეების ახლებურად წარმოდგენაში, არამედ, რა თქმა უნდა, ფორმის სიახლეშიც. ჩვენი საუკუნის რუსულ პოეზიაში ხლებნიკოვი და მაიაკოვსკი რომ არ ყოფილიყვნენ, ეს პოეზია გაცილებით ღარიბი იქნებოდა. არიან დიდი პოეტები, რომლებიც მზა ფორმებში აღწევენ აბსოლუტურ სრულყოფას (ვთქვათ, პუშკინი), მაგრამ არიან სხვანიც, — ვინც ფორმის რევოლუციითაც იკვლევს ახალ გზებს და აღწევს ახალ აღმოჩენებს.

— თქვენ ბევრს თარგმნით, ბატონო გრიგოლ. რას გაძლევთ თარგმნა, როგორც შემოქმედს? და საერთოდ, როგორია თქვენი შეხედულება თარგმნით ხელოვნებაზე...

— თარგმანს პოეტი მხოლოდ მაშინ აქცევს ხელოვნებად, მხატვრობად, თუ იგი თვითონ არის ოსტატი, როცა თავის ენაზე წერს. სათარგმნელი დედნის ორგანული, სისხლხორცეული განცდაა საჭირო. ჩვენში, სამწუხაროდ, ბევრი დიდი უცხოელი პოეტი, ულმობლო თარგმანების გამოისობით, მიიჩქმალა. შეიძლება ითქვას, რომ ქართველ მკითხველს არ ჰყავს თავისი გოეთე, თავისი ჰაინე... თარგმნა განსაკუთრებული ხელოვნებაა, განსაკუთრებული ნიჭია. ზოგი დიდი პოეტი საერთოდ არ თარგმნის ან სუსტად თარგმნის. ასეც ხდება... იმდენად ორიგინალურნი არიან ისინი, რომ გარდასახვა უჭირთ... მაგრამ არის სხვაგვარი, იშვიათი ჰარმონიის შემთხვევებიც. პუშკინი ხომ სწორუპოვარი ოსტატია რუსული ლექსისა და, იმავდროულად, როგორ თარგმნის! რა სილაღეა ფორმისა და რა უზუსტესი, ულრმესი სიახლოვეა დედანთან! ქართულად მიცკევიჩის ტომის რედაქტირების დროს ხელთ გვქონდა „ბუდრისისა და მისი სამი ვაჟის" და „ვოევოდას" ბწკარედები და შევადარეთ პუშკინისეულ თარგმანს. ჩემს აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა — პუშკინს თითქმის სიტყვასიტყვით უთარგმნია. დედანიცაა და უბადლო რუსული ლექსიცაა! დიდი პოეტების შემოქმედებაში, მათ ღვთაებრივ სრულყოფილებაში არის რაღაც ისეთი საიდუმლო, რომელთა ახსნაც ზოგჯერ არ ექვემდებარება ცოდნისა და გამოცდილების საერთო კანონებს. აქ თავს იჩენს რაღაც სხვა პლანი, სხვა ნათელხილვა, სხვა ინტუიცია...

მე სტუდენტობის დროიდანვე მოვკიდე ხელი თარგმნას. სხვადასხვა დროს ვთარგმნე ბოდლერი და რემბო, ვიიონი და რონსარი და სხვა ფრანგი პოეტები. შემდეგ, მოგვიანებით, ვთარგმნე ბევრი რუსი, ევროპელი თუ აღმოსავლელი პოეტი. უდიდესი სიხარული მომანიჭა შანდორ პეტეფის თარგმნამ. პეტეფისთან ერთმა შემთხვევითობამ შემახვედრა. ხელთ ჩამივარდა მისი ლექსების წიგნი, თარგმნილი, შეიძლება გაგიკვირდეთ, ლუნაჩარსკის მიერ. თარგმანში შენარჩუნებულია რევოლუციური სულისკვეთება, მგზნებარება, თუმცა, წმინდა პოეტური ტექნიკის თვალსაზრისით სრულყოფილი არაა. მაგრამ, ვიმეორებ, მომხიბლა პოეტის შინაგანმა მღელვარებამ და საოცარმა თავისთავადობამ, რაც არცთუ ოსტატურ თარგმანებშიც კი იგრძნობოდა. მერე სხვა რუსმა პოეტებმა ჩინებულად თარგმნეს პეტეფი. შემდეგ შევხვდი და დავუახლოვდი ცნობილ უნგრელ მწერალს ანტალ ჰიდაშს და მის მეუღლეს აგნესა კუნს. მათი აწკარედებითა და პირადი კონსულტაციით ვთარგმნე მეც „ჩემი" პეტეფი. მე პეტეფისადმი დიდი სიყვარულითა და კრძალვით გამსჭვალა უნგრელი რევოლუციონერი პოეტის შემოქმედებისა და ბიოგრაფიის მსგავსებამ XIX საუკუნის ჩვენი კლასიკოსების ისტორიულ მისიასთან. პეტეფისთანა ბიოგრაფიას ყველა პატარა ერის ჭეშმარიტი პოეტი ინატრებდა. ჩემთვის პეტეფი არის იდეალი იმისა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო პატარა ერის დიდი პატრიოტი, ვაჟკაცი, უნატიფესი პოეტი.

— თქვენს შემოქმედებაში წარსული და თანამედროვეობა დიალექტიკურად, ორგანულად უკავშირდება ერთმანეთს. ვფიქრობთ, რომ ამ დიალექტიკური ერთიანობის გაუაზრებლად ვერც მომავლის თვალსაწიერს იხილავს ნამდვილი მწერალი. ახლა გთხოვთ მკითხველებს გაუზიაროთ თქვენი აზრი პრობლემაზე — მწერალი და ისტორია...

— მწერლობაში ფეხის შედგმის დღიდან საქართველოს ისტორიაც იყო ჩემი შთაგონების წყარო. თითქმის ოცი წელი ვცხოვრობდი მეცამეტე საუკუნის საქართველოს ცხოვრებით, თუმცა ამ ხნის განმავლობაში თანამედროვეობისადმი მიძღვნილი არაერთი ნაწარმოები დავწერე. რამ აცოცხლა ამდენ ხანს, რა უდგამდა სულს ათასჯერ სასიკვდილოდ დაცემულ ერს? ამ კითხვაზე უნებურად დაფიქრებულა ყველა, ვისაც დრამატიზმით აღსავსე საქართველოს ისტორიისათვის თვალი გადაუვლია. წარსული თავისებური თეატრია, ასპარეზია, სადაც მრავალი თაობის წინაპრები მოქმედებენ, იბრძვიან, შრომობენ, მრავლდებიან, უხარიათ და სწუხან, უყვართ და სძულთ... ისტორიულ რომანებში მე მინდოდა მეჩვენებინა ხალხი, როგორც ისტორიის შემოქმედი ძალა, და ამით ერთგვარად შემევსო მატიანეების ის დიდი ხარვეზი, რომელიც ერთნაირად აწუხებდა ფრანგ ვოლტერს და ქართველ ილია ჭავჭავაძეს.

— დასასრულ, როგორია თქვენი შემოქმედებითი გეგმები?

— მალე მთლიანად გამოქვეყნდება ჩემი ტრილოგიის მესამე წიგნი „ცოტნე დადიანი ანუ ქართველთა დაცემა და აღზევება". ახლა ვმუშაობ რომან „ყორნალის" მეორე წიგნზე. ვწერ პოემას ქერჩის ეპოპეაზე, აგრეთვე მალე დავიწყებ დრამას თანამედროვე თემაზე. რაღა თქმა უნდა, დავწერ ლირიკულ ლექსებს და გამოვაქვეყნებ. სათარგმნელიც მაქვს ზოგი რამ. ერთი სიტყვით, საქმე, იცოცხლეთ, თავზესაყრელია.

ჯუმბერ თითმერია

# წლისთავზე

# ალდო კაკაბაძე



ქართველ მხატვარ-კერამიკოსთა თვალსაჩინო წარმომადგენლის ალდო კაკაბაძის პერსონალური გამოფენა, რომელიც ამას წინათ უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის კავშირის საქართველოს საზოგადოებაში მოეწყო, კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ მხატვარი დაჯილდოებულია შემოქმედებითი წარმოსახვის დიდი უნარით, ნატიფი, მკაცრი, მაღალმხატვრული პოეტური გემოვნებით.

ალდო კაკაბაძე შემოქმედებით ასპარეზზე ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ გამოვიდა. თბილისის სამხატვრო აკადემიის დამთავრებისთანავე ალდო სისტემატურად მონაწილეობს რესპუბლიკურ, საკავშირო თუ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოწყობილ საერთაშორისო გამოფენებში (უნგრეთი, პოლონეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, შვეიცარია, საფრანგეთი, იტალია და სხვ.).

ალდო კაკაბაძის შემოქმედების თემატიკა მრავალფეროვანია: ყავის დეკორატიული სერვიზი, ნაირ-ნაირი სასმისები, ლარნაკები, დეკორატიული ქანდაკებები, სკულპტურული თავები, დეკორატიული თეფშები, ულამაზესი ლანგრები (ლანგრები შესრულების ტექნიკის მხრივ ახალი სიტყვაა კერამიკულ ხელოვნებაში) და ა. შ. მაგრამ ალდო კაკაბაძის ნამუშევართა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სხვადასხვაგვარ ჰურჭელს — დოქებს, „მარანს", რომლებშიც ორიგინალურად არის ამეტყველებული ქართული ხალხური ხელოვნების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციული მოტივები, რაც მათ კოლორიტულობასა და სინატიფეს სძენს.

ალდო კაკაბაძის, როგორც თბილისის სამხატვრო აკადემიის კერამიკის კათედრის დოცენტის დამსახურებაც არის, რომ დღეს ქართული კერამიკა ასეთ დიდ მოწონებას იმსახურებს.

# კრიმინალისტიკა დამნაშავეობასთან ბრძოლაში

გიორგი ციმაკურიძე



დანაშაული მოხდა... ბოროტმოქმედმა მოკლა ადამიანი, ანდა, ვთქვათ, ზიანი მიაყენა მის ჯანმრთელობას, ღირსებას, ჩაიდინა ქურდობა, შელახა საზოგადოების ინტერესები...

უნდა დავიცვათ კანონი, აღვადგინოთ სამართლიანობა, დავსაჯოთ დამნაშავე, — აი, ამ საქმეს ემსახურებიან საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოები. მათი თვალი ყველაფერს უნდა ხედავდეს. მათ უნდა შეეძლოთ მონახონ სამართლიანი, ერთადერთი სწორი გზა საკითხის გადაწყვეტისათვის, რომელიც არა მარტო დასჯის დამნაშავეს, არამედ პატიოსან შრომით ცხოვრებას დაუბრუნებს მას.

საგამომძიებლო დარგის მუშაკები ენერგიას, მონდომებას, ცოდნასა და გამოცდილებას არ იშურებენ, რომ დანაშაული გახსნან და დამნაშავე აღმოაჩინონ.

თანამედროვე ეტაპზე დანაშაულთან ბრძოლა ძირითადად მეცნიერების დახმარებით წარმოებს. ამ მეცნიერებას კრიმინალისტიკა ეწოდება. მისი მიზანია ემსახუროს ჭეშმარიტებას, დაიცვას პატიოსანი კაცის სახელი.

უცხო ადამიანი, რომელიც კრიმინალისტურ ლაბორატორიაში მოხვდება, უეცრად დაიბნევა. აქ იგი ნახავს ქიმიურ რეაქტივებსა და კვარცის ნათურებს, სპექტოგრაფს, მიკროსკოპებს და მრავალი სხვა სახის აპარატურას. თითოეულ ამ აპარატს სხვადასხვა პროფესიის ადამიანები იყენებენ, ყველა ერთად კი მხოლოდ კრიმინალისტებს სჭირდებათ. მართლმსაჯულების სამსახურში გამოიყენება ბიოლოგია, ანალიზური ქიმია, ტექნიკური ფიზიკა, სამეცნიერო ფოტოგრაფია, ფსიქოლოგია და მეცნიერების სხვა დარგები. მაგრამ კრიმინალისტები უბრალოდ, მექანიკურად კი არ იღებენ ამ საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა მიღწევებს, არამედ ისე გადაამუშავებენ მათ, რომ თავიანთი პრაქტიკული მიზნებისათვის, ე. ი. დანაშაულის გახსნისათვის გამოიყენონ.

დამნაშავე დანაშაულის ჩადენის ადგილზე თავის პასპორტს არ ტოვებს, მაგრამ იქ მაინც რჩება მისთვის შეუმჩნეველი კვალი, მაგალითად, თითების ანაბეჭდები.

ადამიანის ხელისგულის ზედაპირი დაფარულია უამრავი წვრილი ხაზით, რომლებსაც პაპილარულ ხაზებს უწოდებენ. ეს ხაზები გარკვევით ჩანს შეუიარაღებელი თვალითაც, განსაკუთრებით თითების ბოლოებზე, სადაც სავსებით დამთავრებულ ქარგას ქმნიან.

ჯერ კიდევ შორეულ წარსულში იყო შემჩნეული ბუნების ის საკვირველება, რომ თითების დაბოლოებაზე არსებული ქარგის მოხაზულობა ინდივიდუალური ხასიათისაა და ადამიანის სიცოცხლის მანძილზე უცვლელი რჩება. თითების ქარგის ასეთი საოცარი თვისება გამოყენებული იყო და არის კრიმინალისტიკის საჭიროებისათვის. იშვიათია, რომ დამნაშავემ შეძლოს და არ დატოვოს თითების ანაბეჭდები დანაშაულის ჩადენის ადგილზე. თითების ანაბეჭდების შემწეობით არა ერთი და ორი სისხლის სამართლის საქმეა გახსნილი.

ამჟამად დამნაშავის ვინაობა შეიძლება დავადგინოთ არა მარტო თითების. არამედ სხეულის სხვა ნაწილების ანაბეჭდებითაც (ფეხის, ხელისგულისა და სხვ.). მაგალითად, გაგრის ერთ-ერთ სანატორიუმში დამნაშავე მეორე სართულზე პალატაში შეიპარა, სადაც იგი დამსვენებელმა შენიშნა. გაიმართა ბრძოლა. დამნაშავემ დანით ოთხი ჭრილობა მიაყენა დამსვენებელს. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ცემენტის კიბის მოაჯირზე ხელისგულის სისხლიანი კვალი აღმოჩნდა. მართალია, ცემენტის არათანაბარი ზედაპირი პაპილარულ ქარგას ამახინჯებს, მაგრამ თანამედროვე ტექნიკის გამოყენებითა და ამ ანაბეჭდის მეშვეობით დამნაშავის დადგენა მაინც შესაძლებელი გახდა.

კრიმინალისტიკაში დიდ როლს ასრულებს სისხლის კვალი, რომელიც თითქმის ყოველთვის რჩება, როდესაც დანაშაული დაკავშირებულია ადამიანის სიცოცხლის ხელყოფასთან. ამ კვალის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა ბოლო ათეული წლის მანძილზე, როდესაც მეცნიერებისათვის სისხლის ბევრი საიდუმლოება გახდა ცნობილი. გასულ საუკუნეში დანაშაულის ჩადენის ადგილზე აღმოჩენილი სისხლის ლაქები არც ისე ბევრს გვაუწყებდნენ. საკმარისი იყო მკვლელობაში ეჭვმიტანილს ეთქვა, ქათამი დავკალი და ტანსაცმელზე სისხლის ლაქა ამიტომ დამაჩნდაო, რომ ბრალდება მოიხსნებოდა. ასეთ განცხადებას ვერ გააბათილებდი, რადგან ამისათვის სათანადო მასალა არ მოიპოვებოდა.

XIX საუკუნის დასასრულს რუსმა მეცნიერმა ფ. ჩისტიაკოვმა, რომელიც სულ სხვა პრობლემებზე მუშაობდა, დიდი სამსახური გაუწია კრიმინალისტიკას. მან აღმოაჩინა ადამიანის და ცხოველის სისხლის განსხვავების მეთოდი. ამის შემდეგ დანაშაულში ეჭვმიტანილი პირები თავის გასამართლებლად ხან იმას ამბობდნენ, სისხლი ცხვირიდან წამგვსკდაო, ხან — თითი გავიჭერითო.

გავიდა არც ისე დიდი ხანი და ჩეხმა მეცნიერმა ი. იანსკიმ, რომელიც ადამიანის სისხლის ბიოლოგიურ შემადგენლობას სწავლობდა, შეძლო სისხლი თავისი თვისებების მიხედვით ოთხ ჯგუფად დაეყო. ეს აღმოჩენა მაშინვე გამოიყენეს კრიმინალისტებმა.

ამჟამად მეცნიერება უფრო წინ წავიდა. დადგენილია, რომ ადამიანის სისხლი იყოფა არა მხოლოდ ჯგუფებად, არამედ ტიპებადაც. პოლონელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს განსხვავება ქალისა და მამაკაცის სისხლს შორის. ისე რომ, ახლა სისხლის ლაქებს ბევრი რამ შეუძლიათ გვითხრან პიროვნების დასადგენად.

იგივე შეიძლება ითქვას ნერწყვზე, ოფლზე და ადამიანის ორგანიზმის სხვა გამონაყოფებზე. მაგალითად, თბილისში ჩხრეკის დროს ერთ-ერთმა მოქალაქემ ჯიბიდან სწრაფად ამოიღო ქაღალდის რამდენიმე ფურცელი და ღეჭვა დაუწყო. როცა ამ მოქალაქეს პირიდან ქაღალდი ამოაცალეს, დაღეჭილი ფურცლები უკვე უფორმო მასას წარმოადგენდა და მელნით დაწერილი ტექსტიც მთლად გადაშლილი იყო. ქართველმა კრიმინალისტებმა მაინც შეძლეს ქაღალდის აღდგენა და ტექსტის წაკითხვა, რომელიც ეჭვმიტანილი პირის დანაშაულს ადასტურებდა. მაშინ ეჭვმიტანილმა უარი განაცხადა ქაღალდის დაღეჭვის ფაქტზე, მაგრამ ნერწყვის გამოკვლევით დადგინდა, რომ ქაღალდი სწორედ მან დაღეჭა.

კრიმინალისტებმა თმის საშუალებით ამოიცნეს ნაპოლეონის სიკვდილის მიზეზი, რომლის დადგენას მთელი საუკუნე-ნახევარი უნაყოფოდ ცდილობდნენ. ინგლისელმა სასამართლო ექსპერტებმა შვედ კრიმინალისტ ა. ვესენთან ერთად დაადგინეს, რომ ნაპოლეონი დარიშხანით იყო მოწამლული, რადგან რეაქტორში თბობადი ნეიტრონების ბომბარდირების საშუალებით დადგინდა — ნაპოლეონის თმები ნორმაზე 13-ჯერ მეტ დარიშხანს შეიცავდა.

ზოგს იქნებ გაგონილი აქვს ასეთი უცნაური გამოთქმა: „სიტყვიერი პორტრეტი“. პორტრეტის ცნებაში ჩვენ ყოველთვის ვგულისხმობთ ადამიანის შესახედაობას ან მხატვრულ გამოსახულებას, აქ კი არც ერთია და არც მეორე. ესაა ადამიანის გარეგნობის მშრალი, გულგრილი, ოქმისებური აღნუსხვა, მისი სიმაღლის, აღნაგობის, სახის საერთო ფორმის (პირდაპირ და პროფილში), შუბლის, ცხვირის, წარბების, ტუჩების, პირის, ნიკაპის, ყურების აღწერა.

ამ ნიშნებით შეიძლება ადამიანის პიროვნების დადგენა. ამ რამდენიმე ხნის წინ თბილისის სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში გამოგზავნეს გულრიფშის მახლობლად ზღვის პირას აღმოჩენილი გვამის ფოტოსურათი და იმ ქალის ფოტოსურათი, რომელსაც იმ დროს ეძებდნენ. მიუხედავად გვამის ძლიერი დაზიანებისა, ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ორივე ფოტოსურათზე ერთი და იგივე პირი იყო აღბეჭდილი.

კრიმინალისტებს დიდ დახმარებას უწევს სასამართლო ფოტოგრაფია.

ამჟამად კრიმინალისტები სასამართლო ფოტოგრაფიის დახმარებით ადგენენ საბუთზე მიმსგავსებით გაკეთებულ ყოველგვარ სიყალბეს. ულტრაიისფერ და ინფრაწითელ სხივებში იკითხება არა მარტო სისხლის ლაქებით, არამედ მელნითა და საღებავებით დაფარული ნაწერიც. კრიმინალისტები აღადგენენ წაშლილ ტექსტებს, სიცოცხლეს უბრუნებენ ცეცხლის ზემოქმედებით დაღუპულ სიტყვებს, ააშკარავებენ სიყალბეს, მიწერილ ტექსტებს.

ყველასათვის ცნობილია ა. პუშკინისა და დანტესის საბედისწერო დუელის შედეგები. ბოლო წლებამდე არავინ იცოდა როგორ გადარჩა დანტესი, რომელსაც ა. პუშკინის პისტოლეტიდან გასროლილი ტყვია მოხვდა. სპეციალისტ ვ. საფრონოვის მიერ ჩატარებული სასამართლო ბალისტიკური ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ დანტესს ტანსაცმლის ქვეშ აბჯარი ეცვა. დღევანდელ პირობებში სასამართლო ბალისტიკა უშეცდომოდ ადგენს რა იარაღი გამოიყენა დამნაშავემ, სად იმყოფებოდა მსროლელი, რა მანძილი გაიარა ტყვიამ, როგორია მისი ტრაექტორია და ა. შ.

ამ რამდენიმე ხნის წინ ქალაქ რუსთავში დაიღუპა მოქალაქე, რომელიც მუცლის არეში ტყვიით იყო დაჭრილი. სიკვდილის წინ ამ მოქალაქემ განაცხადა: მასრა ვიპოვე ჩართულ ელექტროღუმელზე, დამივარდა და აფეთქდა, ამის შედეგად ტყვია მუცელში მომხვდაო.

მალე გამოძიებას აცნობეს, რომ მოკლულის ერთ-ერთ მეგობარს აქვს თვითნაკეთი ცეცხლსასროლი იარაღი, რომლითაც შეიძლება დანაშაული იყოს ჩადენილიო.

გვამიდან ამოღებული ტყვია კრიმინალისტურ ლაბორატორიაში გამოიკვლიეს და დაადგინეს, რომ მას ცეცხლსასროლი იარაღის ლულა არ გაუვლია.

(დასასრული მე-17 გვერდზე).



ტურისტები მესტიაში.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ნადავლი ტბაზე.



ლეჩხუმის მთებში.

ფოტო
ავთანდილ მაჭავარიანისა



ქვევრები.



შოთა რუსთაველი.



ალ. ჭავჭავაძე.



ნიკოლოზ ბარათაშვილი



ილია ჭავჭავაძე.



აკაკი წერეთელი.



ვაჟა ფშაველა.



ალ. ყაზბეგი.



დავით კლდიაშვილი.



ალუდა ტოვებს შატილს.



# თეიმურაზ ყუბანეიშვილი

გამომცემლობა „მერანის" საგამოფენო დარბაზში მოეწყო საქ. სსრ დამსახურებული მხატვრის თეიმურაზ ყუბანეიშვილის ნამუშევართა გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მხატვრის მიერ შესრულებული გრაფიკა, ილუსტრაცია, ქანდაკება. მაგრამ მხატვრის შემოქმედების ტრიუმფია ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის" ილუსტრაცია. მხატვრის ეს ნამუშევარი მაღალ პროფესიულ დონეზეა შესრულებული. მხატვარი თავის ილუსტრაციებში რეალისტურად გადმოგვცემს ილიას ამ უკვდავი ნაწარმოების გმირთა შინაგან ბუნებას, მათ განცდებსა და ფიქრებს.

„მოთხრობის ძირითადი სახეები — ქვრივი და მისი შვილი იმდენად უახლოვდება ხალხის შეგნებაში ღრმად აღბეჭდილ ილია ჭავჭავაძისეულ გმირებს, რომ ამჟამად უკვე ძნელი ხდება მათი სხვაგვარად წარმოდგენა", — წერდა 1974 წელს ჟურნალი „ტვორჩესტვო" თეიმურაზ ყუბანეიშვილის „ოთარაანთ ქვრივის" ილუსტრაციების შესახებ.

ასევე შესანიშნავად არის შესრულებული მხატვრის მიერ ვაჟა-ფშაველას სამი პოემის ილუსტრაციები.

გამოფენაზე მნახველის ყურადღება მიიპყრო მხატვრის მიერ გრაფიკულად კარგად შესრულებულმა ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების პორტრეტებმა.



მეხრობა ქალაქში.



უშგული.



სვეტიცხოველი.

დედა და შვილი.



„გიორგი"







იოანე კეტრიშვი და გრიგოლ ბაკურაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა









თბილისის ხედები

ფოტო ალექსანდრე სააკოვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოსაძებნი ვილა დაგვრჩა?

— გრიშა გარსონაძე.

— მეორე გვარი რომ არ ვიცით მაგისი? — გოგლამ ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა, — წავიდეთ, ცდა ბედის მონახევრეა, იქნებ მივაგნოთ.

ხუდადოვის ქუჩაზე, ეზოსთან შევჩერდით.

— ეგ გვარი, შვილო, გვერდით ეზოში იკითხეთ, — გვითხრა მოხუცმა ქალმა და ჭიშკრამდე მიგვაცილა.

— მასეთი გვარის აქ არავინ ცხოვრობს, უფრო ქვემოთ ჩადით, წამოგყვებით, — ჩაერია ჩვენს საუბარში ახალგაზრდა კაცი.

ეზოში მოხუცი ქალი დაგვხვდა. გვარი ვკითხეთ.

— რა გვარი?

გოგლამ გაუმეორა და მანქანიდან გადმოვიდა.

ქალმა ზემო ეზოსაკენ მიმითითა, მერე გოგლას დააკვირდა და ჩურჩულით შემეკითხა:

— ეგა, ლეონიძე არ არის?

— დიახ!

— შენ რა გვარი ხარ, ქალო? — ჰკითხა გოგლამ.

— სითათიშვილი!

— ქალო, მე შენ დაგეძებ და შენ კიდევ სხვასთან მაგზავნი? — გოგლამ პორტფელიდან ფიროსმანაშვილის წიგნი ამოიღო და გადაფურცლა, — თუ იცნობ აქედან ვინმეს?

მოხუცი ნახატს დააკვირდა.

— ყველას. ეს მამაჩემია, ეს კალანდაძე, ეს ორი ბიჭი კალანდაძეებისაა, ეს პაწუა ვაჟი კი გრიშა გვიმრაძეა.

— ეს გრიშა გვიმრაძეა?

— დიახ!

— ჰოო, ჩვენ კი გარსონაძის გვარით ვეძებთ.

— არა გენაცვალე, ეს გრიშა გვიმრაძეა, აქვე ცხოვრობს, დღესაც ჩვენთან იყო და გვითხრა: მუზეუმში წავიდეთ ფიროსმანაშვილის სურათები ვნახოთო.

— რაღას ვუდგივართ, გვიმრაძესთან წავიდეთ, — თქვა გოგლამ.

სითათიშვილმა მეგზურად თავისი შვილიშვილი გამოგვაყოლა. გვიმრაძე ვიკითხეთ.

— ჯერ სამსახურიდან არ მოსულა, — გვიპასუხა გვიმრაძის ქალიშვილმა და მოგვიახლოვდა.

— აბა, მითხარი აქ მამაშენი რომელია?

— ეს არის, — თქვა მან და ნახატზე ხელი დადო.

— კარგი, როცა მამაშენი მოვიდეს, გადაეცი, ხვალ საღამოს შემოვივლი, უთხარი ლეონიძე იყო-თქო.

წავედით.

— კითხვა-კითხვით კაცი სტამბოლში ჩავა, — თქვა გოგლამ, — მონადირე ერთ დღეში შველსაც მოკლავს და ხოხობსაც, შეიძლება კაცმა ვერც ერთი ვერ მოკლას.

* * *

—სარდაფში ჩავიდეთ, აქ ჩემი ნათლული მუშაობს, — მითხრა გოგლამ და ვიწრო დერეფნით სამზარეულოში გავედით.

— ნათლულო! — დაიბუბუნა გოგლამ.

მზარეულებმა გამოიხედეს.

— სად არის ჩემი ნათლული, დღეს მუშაობს?

— დიახ, ბატონო.

— აბა, ერთი დამიძახეთ.

— ტრისტან! — გაისმა დერეფანში ხმა.

— მაგას ტარიელი ჰქვია, კაცო,— განაწყენებულად თქვა გოგლამ და იქვე პატარა საკუჭნაოში შევიდა.

ბიჭი მოვიდა.

— მოხვედი? კაცო, შენ რა დაგარქვი?

— ტარიელი!

— მერე და სხვა სახელს რატომ გეძახიან?!

ბიჭს შერცხვა.

— შენი სახელი ტარიელია და არა ტრისტანი.

ბიჭმა თავი ჩაღუნა.

— თუ გინდა ეს დანაშაული გამოისყიდო, წადი და კარგი ხინკალი გააკეთე.

ბიჭი გაიქცა.

— ჩემი ნათლულია, ნათლია ვარ! — თქვა გოგლამ ღიმილით.

* * *

მეორე დღეს სითათიშვილებთან მივედით. ისინი სახლში დაგვიხვდნენ.

— მამას ძალიან უყვარდა ნიკო, — გვითხრა სითათიშვილის უფროსმა ქალმა. მამას ბევრჯერ უთქვამს: ნიჭიერი კაცია, ასე უპატრონოდ რომ დადის, მეცოდებაო. სითათიშვილის ვაჟმა სურათი მოიტანა.

— ეს მამას ფოტოსურათია.

დავაკვირდით. ნახატსა და ფოტოსურათს შორის განსხვავება არ იყო, კარგად გადაუხატავს იმ დალოცვილიშვილს.

გვიმრაძეც მოვიდა. მომცრო ტანის შეჭაღარავებული, მხიარული კაცი.

— ამას ვის ვხედავ, ჩემს „პოხრუკას"! — იყვირა აბელმა და გვიმრაძეს გადაეხვია, — მიცანი, ბიჭო?

— როგორ არა, აბელ ბოლდანიჩ.

ოცდახუთმეტი წლის უნახავ ნათლულს შემახვედრა, აქ კი ჩემს „პოხრუკას"; რაებს შვრება გიორგი ნიკოლაევიჩი, კაცო!

* * *

აბელა თავის სახლის წინ იჯდა და გაზეთს ხმამაღლა კითხულობდა.

— ხედავ? ყოფილი მიკიტანი ვარ და რუსულად კითხვა ვიცი. გოგლამ რად დაიგვიანა, იმან ესეთები არ იცის.

ხსენებაზე გოგლაც მოვიდა, თან ფოტორეპორტიორი შალვა ფურცხვანიძე მოიყვანა.

— მოხვედი? — აბელამ კიტელი გაისწორა, ხელჯოხი აიღო და მანქანისაკენ წავიდა, — გიორგი ნიკოლაევიჩ, ახლა პატარქალიშვილთან წავიდეთ, ჩამოსულა, იმ დღეს ვიყავი, ორი „ბუტილკა" ღვინოც დავლიე.

— ჰო, წავიდეთ.

მანქანაში ჩავსხედით.

— ნიკოს „კრუგი" აქ იყო, დიდუბე, ვაგზალი, — თქვა აბელამ, — პატარქალიშვილმა კარგად იცის.

— ვნახოთ, ვნახოთ.

პატარქალიშვილი მხიარულად შემოგვეგება, ბაღში შეგვიპატიჟა, იქ უფრო გრილაო.

— იმ დღეს ვიყავით მე და აბელა, კაი დრო გავატარეთ.

— მითხრეს.

— ახლა ჩვენს ფიროსმანზე რას გვეტყვი.

— აბა, რა გითხრათ, ჩემსავით ღვინისმსმელი კაცი იყო.

— თქვენს შორის ამხელა მხატვარი დადიოდა და არ იცოდით?

— რომ გვცოდნოდა, რაღა გვიჭირდა.

— ფულს თუ აძლევდით.

— გინდაც მიგვეცა, არ აიღებდა.

— მაშ სალებავს რითი ყიდულობდა?

— მაგის ფულს კი ვაძლევდით.

— ვერ შეინახეთ, ვერა.


ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ლეონიძის ეს პორტრეტი ქვეყნდება პირველად. გადაღებულია 1966 წელს, გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე.

ფოტო თარხან არჩვაძისა

— ეზოში გავიდეთ, აქ ცხელა, — გვითხრა გოგლამ, — ჩემი მარნის ღვინო მაქვს თან წამოღებული, უნდა გაგასინჯოთ, პატარძეულურია, დავსხდეთ როგორც ფიროსმანს უთქვამს: „ვსვათ და მხატვრობაზე ვილაპარაკოთ".

— შენ გენაცვალე კარგო კაცო! — ისევ შესძახა აბელამ. — ამან

— როგორ თუ ვერ შევინახეთ, ვინც მოდიოდა, იმას ისე არ გავუშვებდი და ნიკოს გავუშვებდი?

— გვიამბე იმაზე კარგი ან ავი.

— კარგი გამიგია, ცუდი არა.

— ცოტა შევისვენოთ კაცო, მერე კიდევ მოუყვება, — თქვა აბელამ. პატარქალიშვილმა მოიბოდიშა, ოთახში შევიდა, ღვინო მოიტანა.

— მე ვმუშაობ და თქვენ საიდან იცლებით? — თქვა გოგლამ, — ღვინის სასმელად კი არ მოვსულვარ, მე ნიკოს ამბავი მაინტერესებს.

— ცოტა დავლიოთ, გიორგი ნიკოლაევიჩ, მუზა მოვა, — იხუმრა აბელამ.

* * *

აბელა სახლში გოგლას ელოდებოდა. მერე მოსწყინდა და საბჭოს ქუ-



ჩაზე ჩამოვიდა. ქუჩაზე გაზის მილებს ყრიდნენ. ერთ ალაგას ორმო იყო, შოფერს დაკვირვებული თვალი უნდა ჰქონოდა, ეს რომ შეემჩნია. აბელა გოგლას მოლოდინში შოფერებს აფრთხილებდა. გოგლამაც გამოიარა.

— აქ მელოდები ,აბელ? ცოტა შემაგვიანდა, საქმეები მქონდა...

„მალაკნების" ბაზართან იყრიდნენ თავს ამ რაიონის პენსიონერები. ზოგს ახსოვდა ნიკო ფიროსმანაშვილი, ზოგს კი არა. აბელამ იქ მიგვიყვანა.

— ჩვენ გვინდა საზოგადოებრივ საწყისებზე ბიბლიოთეკა გავხსნათ, — თქვა ერთ-ერთმა პენსიონერმა.

— ფიროსმანის სახელობის?

— დიახ.

— ეს კარგი საქმეა, კაცმა სიკეთე უნდა გააკეთოს, რომ ხალხს დაამახსოვრდე.

* * *



მთვრალაშვილი გიორგი. წინათ იგი ავჭალის აუდიტორიაში მსახურობდა, ახლა კი მესაათეა.

— ნიკო ჩვენთან დადიოდა, დეკორაციებს გვიხატავდა, — თქვა მთვრალაშვილმა.

— რომელი წელი იყო?

— თვრამეტი.

— თვრამეტ წელში მკვდარი იყო, იქნებ ჩვიდმეტი, ჰა?

— არა, გენაცვალე.

— ვითომ? მე მითხრეს ეგ მოკვდა გაზაფხულზე აღდგომა დღეს.

— იმისი სიკვდილი არ გამიგია.

— ხმა როგორი ჰქონდა, ჩემსავით ჳოხი?

— „ბარხატ ბარიტონი".

— გონებაგახსნილი კაცი იყო?

— ნამდვილად.

— ნიკო გოცირელს კარგად იცნობდა?

— იცნობდა, გენაცვალე.

— გოცირელის გარდა კიდევ ვისთან დადიოდა არ გახსოვს?

მთვრალაშვილი ჩაფიქრდა.

— აბა, ახლა ცოცხალი რომ იყოს...

— ვინა, ვინა!

— და-ძმანი იყვნენ მსახიობები.

— შანშიაშვილები?

— არა!

— ივერიელი?

— არა, არა, აღარ მახსოვს, რა ერქვა.

— ვექილი ხომ არ იყო? მეც მინახავს ფიროსმანი, — ამბობს გოგლა, — კარგი შელახული ხალათი ეცვა, პირველად მეფურგუნე მეგონა, რა ვიცოდი, ფიროსმანი თუ იყო.

მთვრალაშვილი წამოდგა.

— ისე როგორ უნდა გაგიშვა, ოჯახი არ დაგალოცინო.

სუფრას შემოვუსხედით. სადღეგრძელოში მთვრალაშვილმა თქვა:

— მაგიდის წევრებს გაუმარჯოს!

გოგლამ სიტყვა გააწყვეტინა.

— არა, სუფრის წევრებს, ქართულად უნდა ვადღეგრძელოთ ერთმანეთი, თორემ მოვა ბუა და შეგვჭამს. — იხუმრა გოგლამ.

მთვრალაშვილს ხუმრობა ესიამოვნა.

* * *

— პირველად ნიკო 1906 წელს ვნახე გიგო ზაზიევთან. ისინი მუდამ მხატვრობაზე საუბრობდნენ, — დაიწყო ვანო ზაზიევმა, — გიგო აქებდა ხოლმე ნიჭიერი მხატვარიაო. ნიკო ტკბილი კაცი იყო, ძალიან უყვარდა ბავშვები, რომელიც მოეწონებოდა დაიჭერდა და ხატავდა, ერთ ნახატს შინ გაატანდა, მეორეს კი თვითონ იტოვებდა. ფიროსმანს ერთი ქალი უყვარდა, მგონი აისორი იყო.

, — საიდან იცი?

— „ნემცების" ბაღში ბევრჯერ მინახავს.

— იქნებ ისე იხდნენ?!

— ხალხში ლაპარაკობდნენ ეგ მაგისი ქალიაო. პირველი პაემანი მეც მაგ ბაღში მქონდა ერთ რუს გოგოსთან, — თქვა გოგლამ, — დავიბარე და მოვიდა, იჯდა, იჯდა და მერე წავიდა, აბა რა უნდა მექნა, იმდენი რუსული მაშინ სად ვიცოდი.

* * *

აბელას თქმით „ვერელის" ჭიდაობას ფიროსმანი ბევრჯერ დასწრებია. თვითონ სამა ვერელსაც ნიკო კარგად ახსოვსო.

— მაშ თუ ასეა, დღესვე უნდა ვნახოთ, — თქვა გოგლამ.

„დეზერტირების" ბაზარში მივედით. აქ მუშაობდა ვერელი. იგი სახელოსნოში არ დაგვიხვდა. კარებზე ქაღალდი გაეკრა წარწერით: „მალე მოვალ". მოსაცდელად იქვე მილიციის პუნქტში შევედით. განყოფილების უფროსი მხიარულად და პატივისცემით შემოგვხვდა. მერე გარეთ გავიდა. ოთახში გოგლა, ვეფხია აკოფაშვილი და მე დავრჩით. აკოფაშვილი წინად ლექსებს აქვეყნებდა, „ფშაველის" ფსევდონიმით, ახლა კი ფიროსმანის ამბებით იყო დაინტერესებული. ოთახში რუსის ქალი შემოვიდა, იგი უბრალოდ იყო ჩაცმული.

— „ზნაიტე, ტავარიშჩ ნაჩალნიკ", — მიმართა გოგლას.

— „ია ნი ნაჩალნიკ, ონ ნაჩალნიკ". — და გოგლამ ვეფხიაზე მიუთითა.

ქალი დააკვირდა გოგლას.

— „პრასტიტე ვი ნე პოეტ ლეონიძე"?

გოგლამ გაიცინა. ქალმა უხერხულობა იგრძნო და გარეთ გავიდა.

— ნახე, როგორ მიცნო?

ვერელიც მოვიდა. საუბარი ნიკო ფიროსმანზე ჩამოვარდა.

— ფიროსმანაშვილი ჭიდაობაზე თუ დადიოდა?

— როგორ არ დადიოდა, ჭიდაობა ძალიან უყვარდა, — თქვა ვერელმა, — ახლა მოვხუცდი, რა იქნება პატარა იუბილე გადამიხადოთ, ნუთუ მისი ღირსი არა ვარ?

— გადაგიხდით კაცო, რამდენი წლისა ხარ?

— ოთხმოცამდე.

— ჰოო, კაი წლოვანება გქონია, ოცდაათი წელი იჭიდავე არა?!

— ახლაც მერჩის ღონე, ჩემს ტოლებს დავეჭიდები, — იხუმრა ვერელმა.

— შენი ტოლი არა ვარ, რომ დაგეჭიდო, შენზე ახალგაზრდა ვარ და წაგაქცევ, — გაეხუმრა გოგლა.

**უშანგი გედია**

ქართული კერამიკის საწყისები უძველეს ეპოქებში იკარგება. არქეოლოგების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი კერამიკის ძველთაძველი ნიმუშები დღესაც ანცვიფრებს ადამიანს თავისი დახვეწილი ფორმებითა და მაღალმხატვრულობით. ჩვენებური კერამიკა ყოველთვის გამოირჩეოდა რთული ტექნოლოგიური სპეციფიურობით, ეროვნული თვითმყოფადი ნიშნებით, თავისებური შნოთი და იერით.

თანამედროვე ქართველი კერამიკოსები სასახელოდ აგრძელებენ ძველ ოსტატთა საქმეს. მათ არა მარტო აღადგინეს ქართული კერამიკის ბრწყინვალე ტრადიციები, არამედ კიდევ უფრო განავრცეს და გაამდიდრეს იგი, ქართული კერამიკის წარმოება ორგანულად შეურწყეს თანამე-





კერამიკული ნაწარმის შეფუთვა.

სპეციალისტები ამოწმებენ მზა პროდუქციას.

## ჩემი დიდი ოჯახი

**ივანე თარბა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# აფხაზური პოეზია

მიყვარს სოფელი,
სადაც ფეხი ავიდგი;
სადაც
უღრუბლო ზეცა დამყურებდა
ზაფხულ და ზამთარ,
სადაც ფეხშიშველს
დაცვარული ბალახის დენი
მაჟრიალებდა;
სადაც განვვლე
ბავშვობის დღენი.
მე აქ დავადექ ვიწრო ბილიკს
მხრებაწურვილი,
გამოვსულიყავ ფართო გზაზე —
მქონდა სურვილი.
გამოველ კიდეც
და გაიხსნა ახალი სივრცე —
ფეხი რომ შევდგი
დიდ ოჯახში,
მაშინვე ვიგრძენ.
მაშინვე მივხვდი. —
მეგობრობით არის ძლიერი:
რუსი,
ქართველი,
ესტონელი
თუ ლატვიელი...
ვიცი, სამშობლო სად იწყება,
მზის შესადარი, —
თქვენ ის მითხარით —
დასასრული მისი სად არის!

### ბოჩოლა

გარს ეხვეოდა იმ დღეს
მთელი ოჯახი ჩვენი
ძროხას, რომელმაც ხბო მოიგო—
ბოჩოლა ჭრელი.

ის სასაცილოდ რქენდა ჯიქანს,
ან ისე იდგა
და მის ჩლიქთა ქვეშ ტორტმანებდა
მინდორი თითქოს.

აი, შეეხო ისევ ძუძუს
და ნეტარებით
აევსო გული, გაუდიდდა
უმალ თვალები.

რა საყვარელი იყო ალბათ,
რა უანგარო
იმის თვალებში არეკლილი
მთელი სამყარო...

ძროხა მას ქოჩორს ულოკავდა,
ნაზად ვარცხნიდა,
ეფერებოდა, მისგან რქენა
სულაც არ სწყინდა.

ო, სიხარული!..
რძით ივსება
ბადია ძველი;
ბავშვებს მოთმენა აღარ გვყოფნის,
დედა კი წველის...

ეს იყო...
იმ წელს პურიც გვაკლდა,
მჭადიც და ღომიც.
დედამიწაზე მძვინვარებდა
ჯერ კიდევ
ომი.

### მუხა

დგას მუხა მხრებგანიერი
მხნე ჯარისკაცის მსგავსად;
სოფლად ყველაზე ხნიერიც
ვერ იტყვის იმის ასაკს.

ბებერი, როგორც ბუნება,
მაინც იმედით სავსე,
რამდენი საუკუნეა,
სოფელს ზემოდან დამზერს!

მაღალი და იდუმალი —
ასეთი ახსოვს ყველას.
არც უმიზეზოდ მდუმარებს,
არც უმიზეზოდ ღელავს.

... ჩიტი გაფრინდა, მოფრინდა,
ისევ აიჭრა მაღლა,
მას კი წასულნი სოფლიდან
თვალში აკლია ახლაც.

### ზამთარი მოსკოვის გარეუბანში

ირევიან ფიფქები.
ძნელი მისახვედრია,
ტრამალებზე ქარი ქრის,
თუ თეთრ კვიცებს ხედნიან.

აშოლტილან არყები —
გოგონები ნაზები,
იქვე — თითქოს ვაჟები —
დაჩოქილან ნაძვები.

დაცემულან მუხლებზე.
მაგრამ რა დროს ეს არის,
ვდგავარ გაოგნებული
მხრებდათოვლილ ხესავით:

გოგომ მოთხილამურემ —
თითქოს არა იყო რა —
გვერდით ჩამიქროლა და
მზერა თან გაიყოლა.

... ირევიან ფიფქები.
ძნელი მისახვედრია,
ტრამალებზე ქარი ქრის,
თუ თეთრ კვიცებს ხედნიან.

### პურის გემო

ძმებს პური ისე გვიყვარდა,
გვემახსოვრება მარად,
თავს რომ ვიყრიდით ჭიშკართან
და გავცქეროდით შარას:

არავინ არ ილანდება
და თვალებს ცრემლი ნამავს —
რატომღაც აგვიანდება
ქალაქში წასულ მამას.

და აი ისიც! მეფური
ნაბიჯით მოდის გზაზე,
ამაყად გაღიმებული
უთქმელ სითბოთი გვავსებს.

რა ტკბილი, რა საამოა
ეს წუთი! მამაც ღელავს —
ტომრიდან პური ამოაქვს
აგვისტოს მთვარის ხელა...

მე ისე გავლევ ცხოვრებას,
ლაღო ოცნებავ ჩემო,
ყოველთვის მემახსოვრება
ბავშვობის პურის გემო.

აფხაზურიდან თარგმნა
**ხუტა ბაგუამ.**

# ქართული კერამიკა

დროვე ცხოვრების ესთეტიკურ მოთხოვნილებას.

ჩვენ თბილისის საშენ მასალათა კომბინატის კერამიკულ საამქროში ვიმყოფებით. ამ საამქროს მიერ გამოშვებულ მხატვრულ ნაწარმზე, განსაკუთრებით კი კრიალა, დახვეწილი ფორმებისა და დეკორატიული თვისებების მქონე შავ კერამიკულ ნიმუშებზე, მომხმარებელთა დიდი მოთხოვნილებაა.

აქაური ოსტატების ხელით დამზადებული ნაწარმი იგზავნება ჩეხოსლოვაკიაში, ესპანეთში, იტალიაში, იაპონიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და მსოფლიოს სხვა მრავალ ქვეყანაში.

უცხოეთში დიდი მოწონებით სარგებლობს ქართულ ეროვნულ სტილში გამოძერწილი ყელყელა დოქები, ლიქიორის სასმისები, „ხევსურელი ქალები"... ორიგინალურმა დეკორატიულმა ვაზამ „მინდიამ" ოკეანეს გადაღმა და უცხოეთის სხვა ბევრ ქვეყანაში მტკიცედ დაამკვიდრა ბუნების დიდი მისნის — ვაჟას უკვდავი გმირის მინდიას სახელი...

კომბინატში დამზადებულ კერამიკულ ნაწარმს არაერთხელ უსახელებია თავი საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთ მოწყობილ საერთაშორისო ბაზრობებზე, სავაჭრო-სამრეწველო გამოფენებზე. მათ მრავალი მედალი, დიპლომი და სხვადასხვა ჯილდო დაიმსახურეს.

ხუთწლედის განმსაზღვრელი წელი კომბინატმა სასახელო მაჩვენებლებით დაიწყო. ფაიფურის კერამიკის წარმოების გეგმა პირველ კვარტალში გადაჭარბებით შესრულდა. კომბინატმა გეგმის ზევით 2.300 მანეთზე მეტი პროდუქცია გამოუშვა. ასევე წარმატებით შესრულდა მომდევნო თვეების გეგმებიც.

მხატვარ-კერამიკოსები მალე კიდევ ხუთი ახალი სახეობის ნაწარმს აითვისებენ.

კიდევ უფრო მრავალფეროვანი, მდიდარი და დახვეწილი გახდება ქართული კერამიკა. კიდევ უფრო მეტ მომხმარებელს, მეტ სახელსა და მოწონებას მოიპოვებს იგი.

**ეთერ მაჭავარიანი**

ფოტო ანზორ გოგოლაძისა.




ეს დიპლომები ქართულმა კერამიკამ დაიმსახურა.

ვახტანგ სიხარულიძე

მხატვარი დინარა ნოდია.

# ოლაიოში

ნამდვილი ამბავი

ჰოსპიტალში მძიმედ დაჭრილი საბჭოთა არმიის მებრძოლთა მომვლელ სანიტრების დიდი ნაკლებობის გამო, უნგრეთის ხელისუფლებთან შეთანხმებით, ამ თანამდებობაზე მობილიზაციის წესით გამოგზავნეს ადგილობრივი მცხოვრები ახალგაზრდა ქალები.

— გაიცანით, თქვენი ახალი სანიტარი იულიშკა ოლაიოში, — გამოგვიცხადა მედიცინის სამსახურის კაპიტანმა იულია ზაპოლსკაიამ.

საშუალო ტანის წაბლისფერთმიანი ახალგაზრდა ქალი დაბღვერილი მოგვჩერებოდა მძიმედ დაჭრილებს. წარბშეკრულმა შუადღისას ქვაბებით შემოიტანა სადილი. სადილის შემდეგ უხმაუროდ აალაგა ჭურჭელი და გარეთ გავიდა.

აურზაური მაშინ შეიქმნა, როცა ერთ-ერთმა დაჭრილმა ღამის ჭურჭელი მოითხოვა. იულიშკამ ჯერ ვერ გაიგო რა უნდოდა მას, როცა მიახვედრეს, ყურებამდე გაწითლდა, თვალები ცრემლებით აევსო და დერეფანში გავარდა. სანიტარი დროებით ექთანმა ვალენტინა ტკაჩენკომ შეცვალა.

ვახშმის შემდეგ ტიმოთე იაკიმენკომ გიტარაზე დაუკრა და ვასილ ზუბმამ ფრონტული სიმღერები დაამღერა.

იულიშკა მაგიდასთან იჯდა და უსმენდა.

ღამით, როცა ყველას დაეძინა, იულიშკამ სველი ტილოთი მოწმინდა იატაკი, ავეჯს მტვერი მოაშორა და კარებთან სკამზე ჩამოჯდა.

ნაშუაღამევს უფროსმა ლეიტენანტმა ვასილ სმირნოვმა დაინახა იატაკზე დაფენილ ფარდაგზე მწოლიარე სანიტარი და გაალვიძა. თედორე პანედკოს თხოვა მიიჩოჩეო, გვერდით მიუწვა, თავისი საწოლი კი იულიშკას დაუთმო. ქალი ჯერ უარზე იყო, მერე დათანხმდა.

იულიშკას მალე ჩაეძინა.

მეორე დღეს იულიშკა ისვენებდა. მესამე დღეს, სამუშაოზე რომ გამოცხადდა, დაჭრილები მას მხიარულად შეეგებნენ.

იულიშკა მოშინაურდა. რაც დრო გადიოდა მისთვის დაჭრილები ახლობლები ხდებოდნენ. ერთხელ, დიდი სუფრა მოიტანა, პალატის შუაგულში მაგიდას გადააფარა. ფანჯრები გაწმინდა, პატარა თეთრი ფარდები გაუკეთა. სანიტრებს საიდანღაც კარადა მოატანინა და მასში ჭურჭელი შეაწყო. ჰოსპიტლის კლუბში მოძღილი აკორდეონი მონახა, ქალაქში წაიღო, ვიღაცას შეაკეთებინა და საღამოობით, როცა დაჭრილები ცუდად გრძნობდნენ თავს, უნგრული მუსიკითა და სიმღერებით გვართობდა. ჩვენს პალატაში ოჯახურმა სიმყუდროვემ დაისადგურა.

ერთხელ, მისი მორიგეობის დროს, მტრის ავიაცია დაესხა თავს ქალაქს, ახლომახლო განლაგებული საზენიტო ქვემეხების გამუდმებული სროლით ჩვენი ჰოსპიტლის შენობა აკვანივით ირწეოდა. იულიშკას შიშისაგან თვალები გაფართოებოდა, ტიროდა.

მტრის თვითმფრინავები ქალაქს მოსცილდნენ. ჰოსპიტლის რაიონში სროლა შეწყდა.

იულიშკა ისევ ტიროდა.

— გათავდა, მორჩა, ნუ გეშინია, — შეეცადა მის დამშვიდებას ლეიტენანტი ავთანდილ კობერიძე.

ორი თვის შემდეგ, ჩვენ უნგრული ლაპარაკი ვისწავლეთ, იულიშკამაც ისწავლა რუსული და ერთმანეთს უკვე თავისუფლად ვაგებინებდით. იულიშკამ გაიხსენა ძველი ამბავი:

— გერმანელთა თვითმფრინავების თავდასხმის დროს მასხრად რომ მიგდებდით, გეგონათ შიშისაგან ვტიროდი? არა! მე მშიშარა არა ვარ, არ გცნობებიათ უნგრელები, ძველი მედგარი მებრძოლები. თქვენ რომ გიყურებდით ლოგინზე მიჯაჭვულებს, უსუსურებს, ის მატირებდა. წარმოვიდგინე როგორ მოუთმენლად გელოდებიან თქვენიანები. დაიჭერით, მკურნალობთ, გამოჯანმრთელების იმედით მოთმინებით იტანთ ძლიერ ტკივილებს და, ამ დროს, ერთი ბომბი და თქვენგან არაფერი დარჩება. ჰოსპიტლის უფროსთან მივალ, ვთხოვ, პირველ სართულზე გადაგიყვანონ, იქ მტერი ვერაფერს დაგაკლებთ, — დაასრულა იულიშკამ.

— არა, ჩემო კარგო! — თქვა სმირნოვმა, — თუ ბომბი პირდაპირ შენობას მოხვდა, ოთხივე სართულს ჩაანგრევს, ნანგრევებში დავიღუპებით. ისევ აქ ჯობია, ბევრი ჰაერია, ზამთრის მზეც ათბობს პალატას.

ერთხელ, მორიგეობიდან თავისუფალ დღეს, ვახშმის წინ პალატაში შემოვიდა იულიშკა. კალათი შემოიტანა და მაგიდაზე დადგა. ჩაიზე დაჭრილებს თითო ცალი კარტოფილის ღვეზელი მოგვართვა.

— ეჰ! ხელმოკლეობას რა ვუთხრა, თორემ ეგ რა არის?! არ იშოვება ფქვილი, ხორცი, ცხიმი, თორემ ნამცხვრებს და ღვეზელებს არ მოგაკლებდით.

როცა ეს ამბავი ჰოსპიტლის უფროსის მოადგილეს პოლიტდარგში მაიორ მორგუნოვს ვუამბეთ, მან გვითხრა:

— საწყობი სავსე გვაქვს ფქვილით, შაქრით, ცხიმეულითა და ხორცით. თუკი არ დაიზარებს და რამე გემრიელს გაგვიკეთებს, შინ გავუგზავნით პროდუქტებს.

მაიორმა დაპირება შეასრულა. იულიშკა ყოველდღე გვიზიდავდა ნამცხვრებს და განებივრებდა.

დადგა გაზაფხული. ხეები შეიფოთლა. მზე უხვად აფრქვევდა მაცოცხლებელ სხივებს.

დაჭრილებმა ფეხი აიდგით. ჯერ ყავარჯნებით დავბობლავდით, შემდეგ ჯოხზე დაყრდნობით, ფრთხილად ვადგამდით ფეხს, მერე კი ქალაქშიც გავედით.



დადგა ჰოსპიტლიდან გაწერის დროც. გამოჯანმრთელებულები თავიანთ შენაერთებში მიემგზავრებოდნენ, პალატაში ზედიზედ თავისუფლდებოდა საწოლები, ახალი დაჭრილები კი აღარ მოდიოდნენ — ომი დამთავრებული იყო.

იულიშკა გასამგზავრებლებს გულითადად ემშვიდობებოდა, თვალცრემლიანი აცილებდა.

სამუშაოს შემცირების გამო, მალე მობილიზებული ქალებიც გაათავისუფლეს. ახლა უკვე ქალაქში, ქუჩებში, მოედნებზე, ბაზარში ან კინო-თეატრებში ვხვდებოდით მათ, როგორც ძველ ნაცნობ-მეგობრებს.

ერთხელ, ქუჩაზე მივსეირნობდით კაპიტანი ივანე ნიკოლაძე და მე.

მოულოდნელად ქალის ხმა მოგვესმა:

— კაპიტან! საით მიბრძანდებით!

პირველი სართულის ღია ფანჯარაში მომღიმარი იულიშკა იდგა.

შინ მიგვიწვია, ღვინითა და ხილით გაგვიმასპინძლდა. პიანინოს მიუჯდა, ვალსი დაუკრა და დაამღერა.

— ბედნიერი ხართ, ომი დამთავრებულია, მალე სახლებში გაემგზავრებით, — ნაღვლიანი ხმით გვითხრა იულიშკამ, — მე კი, ჩემი ბავშვით მარტო დავრჩი. მამა 1942 წელს დაიღუპა, როცა ინგლის-ამერიკელთა ავიაციამ ჩვენი ქალაქი დაბომბა. ქმარი კი ფრონტზე იყო და თითქმის ორი წელიწადია არაფერი ვიცით მის შესახებ.

ნუგეშის მეტი რა შეგვეძლო. ქალს იმედი მივეცით, რომ გამოჩნდებოდა. კარგა ხანს ვისხედით გულთბილ მასპინძელთან.

...ივანე და მე ერთად გამოგვწერეს ჰოსპიტლიდან. რკინიგზის სადგურზე ექიმებმა და ექთნებმა გაგვაცილეს. გამცილებელთა შორის იულიშკაც იყო.

* * *

1945 წელი ილეოდა, ნოემბრის ცივი წვიმიანი დღე იყო. საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულები რუმინეთის ქალაქ გალაცის მახლობლად უკვე მესამე დღე იყო ველოდით მატარებელს საბჭოთა კავშირიდან. ბინად ვიწროლიანდაგიანი მატარებლის ვაგონებში ვიდექით.

მეხუთე ლიანდაგზე ტყვეობიდან განთავისუფლებული უნგრელი ჯარისკაცებით სავსე მატარებელი ჩამოდგა. მგზავრები გადმოეშვნენ ვაგონებიდან ქვაბუნებით და წყლის ასაღებად გაიქცნენ. ზოგმა სადგურის უკან მდებარე პატარა ბაზარს მიაშურა.

მეც შევედი ბაზარში ხილის საყიდლად.

ტყვეობიდან განთავისუფლებულებს რუმინული ფული არ გააჩნდათ და ცდილობდნენ თვითნაკეთი ნივთები გადაეცვალათ პროდუქტებზე და ხილზე, მაგრამ ამაოდ, რუმინელები არ ეხარბებოდნენ შეძლეულ ნივთებს.

— ფარკაშ!

— ნაგ!

— ვერეც!

ეძახდნენ ერთმანეთს უნგრელები.

ერთბაშად ნაცნობი გვარი გავიგონე.

— ოლაიოშ, სადა ხარ?

პატარა ტანის ჯარისკაცი ოლაიოშს ეძებდა. დავინტერესდი და მორიახლო გავყევი.

აგერ, იმ ჯარისკაცს გამოეპასუხა საშუალო ტანის ჩასხმული ვაჟკაცი, რომელსაც თხელი ალაგ-ალაგ დაკერებული მაზარა და ძლიერ გაცვეთილი ფეხსაცმელი ეცვა.

— ოლაიოშ! — მივმართე უცნობს, — სადაური ხართ?

ჯარისკაცი გაშეშდა. მკაფიოდ მიპასუხა. დაასახელა ის ქალაქი, სადაც დაჭრილი ვიწექი ჰოსპიტალში.

— იულიშკა ოლაიოშს თუ იცნობ?!

— თქვენ საიდან იცით იულიშკა? — აკანკალებული ხმით მკითხა გაოცებულმა უნგრელმა, — რამე ფათერაკი ხომ არ შეემთხვა? ჩემი ცოლია... ცოცხალია?

— ცოცხალია, კარგად არის, მოუთმენლად გელოდებიან ის და პატარა შანდორი.

ტყვედნამყოფი გაიბადრა.

— კესენემ, კაპიტან! (გმადლობთ, კაპიტანო!).

— შენ იმრე ჰქვია, ხომ?

— დიახ, ბატონო!

— წამოდი ჩემთან.

იმრეს ფერი ეცვალა, ხმა აუკანკალდა.

— ნუ დელავ! შენი მეუღლე დაჭრილს მივლიდა ჰოსპიტალში. თქვენ სახლშიც ვყოფილვარ. წამოდი ჩემთან, ყველაფერს გეტყვი.

ჩვენს ვაგონში იმრე ოლაიოში კუპეში შევიყვანე, ჩემს თანამგზავრებს გავაცანი, მოკლედ ვუამბე იულიშკაზე.

ჩემოდნიდან ახალთახალი კოსტუმი და ფეხსაცმელი ამოვიღე, იმრეს ვაჩუქე. მაიორმა ვიხრევმა ოლაიოშს თბილსარჩულიანი ლაბადა უფეშქაშა. უფროსმა ლეიტენანტმა მეხტიევმა — ორი წყვილი საცვალი, ლეიტენანტმა სინიცამ — თბილი ყურებიანი ქუდი.

დაბნეული ოლაიოში სიხარულს ვეღარ ფარავდა.

— კესენემ, ხეიპენ! გმადლობთ. რა ვქნა, რით გადაგიხადოთ სიკეთე?!

— კეთილად მოგახმაროს, ბედნიერებაში! — უთხრა ვიხრევმა.

— წადი იმრე შენს ვაგონში, — ვუთხარი უნგრელს, — გამოიცვალე ეგ ძონძები, ახლები ჩაიცვი და ისევ მოდი აქ ჩვენთან. გელოდებით, არ დაგვაცდევინო.

ერთი საათის შემდეგ ჩვენს კუპეში ტევა არ იყო. ვაგონში მყოფთ, თუ რამე მოეპოვებოდათ, მოჰქონდათ ჩვენთან იმრე ოლაიოშის გასამასპინძლებლად.

ბევრი კარგი, თბილი სიტყვა ითქვა იმ საღამოს ხალხთა მეგობრობაზე

მეორე დილით ტყვეობიდან განთავისუფლებული უნგრელები ვიწროლიანდაგიან მატარებელში გადაიყვანეს. მათგან ერთი გამოირჩეოდა სამოქალაქო ტანსაცმლით, თავზე საბჭოთა არმიის წითელვარსკვლავიანი ყურებიანი თბილი ქუდით. იგი იმრე ოლაიოში გახლდათ.

წასვლისას იმრეს სურსათ-სანოვაგით და თამბაქოთი გავსებული ზურგჩანთა მივუტანეთ, ვუთხარით თავის მეგობრებსაც გამასპინძლებოდა.

მატარებელი ნელა დაიძრა.

— გულითადი მოკითხვა გადაეცი იულიშკას და პატარა შანდორს! — შევძახე ოლაიოშს.

— გმადლობთ! სიკეთეს გისურვებთ ცხოვრებაში, — გადმოგვძახა სახეგაბადრულმა ოლაიოშმა.

— იულიშკას უთხარი, სიკეთე არასოდეს არ იკარგება-თქო.

— აუცილებლად გადავცემ. ნახვამდის.

მატარებელმა სვლას უმატა და თვალს მიეფარა.

## დაამზადეს ქართველმა სპეციალისტებმა

### საერთაშორისო აღიარება




ბრუცელოზის უნიკალური ფაგი „თბ" („თბილისი") მიიღეს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებმა: მ. ფოფხაძემ, თ. აბაშიძემ და ლ. კარიჭაშვილმა.

ტოქსონომიის საერთაშორისო კომიტეტის მიერ ფაგი „თბ" მიღებულია როგორც ეტალონი ბრუცელის დიფერენციაციის დამატებით ტესტში გამოსაყენებლად. მრავალი მკვლევარის დაკვირვებით, აღნიშნული ფაგი სხვა ფაგებისაგან მთელი რიგი დადებითი მაჩვენებლებით გამოირჩევა.

ფაგი „თბ" გაერთიანებული ერების მსოფლიო ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის მიერ აღიარებულია როგორც რეფერენტული ფაგი და გამოიყენება მრავალი ქვეყნის სხვადასხვა ლაბორატორიებში.

### დიაბეტური ქართული პური

საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბიოქიმიისა და მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში ამ რამდენიმე ხნის წინ შეიმუშავეს დიაბეტური ქართული პურის დამზადების ტექნოლოგია.

ახალი სახის დიაბეტური პურის დამზადებას საფუძვლად უდევს დღემდე დადგენილ რეცეპტურაში ცილებისა და მეტი რაოდენობის საფუარების შეტანა.

ახალ დიაბეტურ პურს მთელი რიგი უპირატესობანი აქვს. ექიმები მას დიაბეტით დაავადებულების გარდა უნიშნავენ ავადმყოფებს, რომლებსაც ცილოვანი დიეტა სჭირდებათ.





### ახალი ვარდები

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა მელიტა ექვთიმიშვილმა გამოიყვანა დაახლოებით ასამდე ჯიშის ვარდი: „მზიური საქართველო", „თბილისი", „შოთა რუსთაველი", „აკადემიკოსი კეცხოველი", „აკადემიკოსი მუსხელიშვილი", „ია", „მარინე" და სხვა.

ცნობილი ქართველი მხატვარი ქალის ხსოვნის უკვდავსაყოფად ერთ-ერთ გამოყვანილ ვარდს მეცნიერმა „ქეთევან მაღალაშვილი" უწოდა. ეს ვარდი გამოირჩევა ძლიერი და მაღალი ბუჩქიანობით, გამძლეა, კარგად იტანს გვალვას. ახალი ვარდის ფოთოლი პრიალა და მუქი მწვანე ფერისაა. მოგრძო ყვავილი სხვა ვარდის ჯიშის ყვავილებთან შედარებით უფრო დიდხანს ძლებს. მონარინჯო-მოყვითალო ფერის ვარდს მოწითალო ზოლები დაჰყვება და ნაზი სურნელით ხასიათდება.

### უახლოეს მომავალში

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში დაამუშავეს თემა: „საჰაერო აუზის სისუფთავის დაცვა მავნე ნივთიერებებისაგან, თბილისის მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარების გენერალური გეგმის გათვალისწინებით". დეტალურად დამუშავდა ქ. თბილისში ტრანსპორტის მოძრაობის ციკლი, შეიქმნა სპეციალური რუკა, რომელზეც აღნუსხულია ქალაქის ყველა ძირითადი მაგისტრალი ტრანსპორტის მოძრაობის ინტენსიობის აღნიშვნით. ჰაერის გაჭუჭყიანების თავიდან აცილების მიზნით, შემუშავებულია საავტომობილო ტრანსპორტის რაციონალური ორგანიზაციის სქემა. გათვალისწინებულია გაზის მსგავსი სათბობის გამოყენება ავტობუსებისა და ტაქსებისათვის და სხვა.

ყველა ამ მეთოდის გამოყენება მომავალში მნიშვნელოვნად გააჯანსაღებს ჩვენი დედაქალაქის ჰაერს.





მოსკოვში, პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში „ჯოკონდა" შეხვდა საბჭოთა ადამიანებს. მსოფლიო ფერწერის ამ უდიდესი ნაწარმოების ჩვენება მოსკოვში დიდი კულტურული მნიშვნელობის მოვლენაა. ამასთანავე ესაა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის კულტურული ურთიერთობის, ტრადიციული მეგობრობის განმტკიცების კიდევ ერთი მაგალითი.

„ჯოკონდა"...

ხელოვნების უდიდესი ნაწარმოებების ცხოვრება, ისევე როგორც მათი შემქმნელებისა, უაღრესად საინტერესო და ხშირად ტრაგიკულიცაა და მარადიულია! ასეთივეა „ჯოკონდას" ცხოვრება. არც დრომ, არც ესთეტური კრიტერიუმების ბუნებრივმა შეცვლამ ვერ შეძლო მონა ლიზას მშვენიერების ჩაქრობა.

ფრანგულმა ყოველკვირეულმა „ვი უვრიერ"-მა გამოაქვეყნა სტატია, სადაც მოთხრობილია „ჯოკონდას" თავგადასავალი და ნაამბობია იმ გასაოცარ ზემოქმედებაზე, რასაც იგი მნახველებზე ახდენს.

გთავაზობთ ამ სტატიას, რომელიც ამას წინათ „ლიტერატურნაია როსიამ" გამოაქვეყნა.



# „ჯოკონდას" თავგადასავალი

სერჟ სეიონი

„ჯოკონდამ" ფურორი მოახდინა იაპონიაში. უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი ტოკიოს ნაციონალურ მუზეუმში, სადაც ლეონარდო და ვინჩის ცნობილი სურათი იყო გამოფენილი. აქვე იყო წარმოდგენილი საფრანგეთის მუზეუმების კვლევითი ლაბორატორიის დოკუმენტები — „ჯოკონდასადმი" მიძღვნილი რენტგენის სურათები, მიკროფოტოგრაფიები და სხვ.

1963 წელს მონა ლიზამ ამერიკის შეერთებულ შტატებში იმოგზაურა და ამის შემდეგ ლუვრი არ დაუტოვებია. მონა ლიზას ახალგაზრდული ღიმილი და სახის ფერი აქვს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი ხნიერი ქალია, 470 წლისაა და მაინცდამაინც არ უყვარს მოგზაურობა. მართლაც, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ლეონარდო და ვინჩის ტილო ფრიად მგრძნობიარეა ჰიგროთერმულ ცვლილებათა მიმართ. სწორედ ამიტომ აუცილებელია, „ჯოკონდა" მუდმივად იმყოფებოდეს ერთი და იგივე ჰიგრომეტრულ პირობებში (ტენიანობა — 50 პროცენტი) და ერთი და იგივე ტემპერატურის ქვეშ (18-დან 21 გრადუსამდე), რომელიც მუდმივადაა დაცული ლუვრში. ეს ეხება როგორც სურათის გადატანას, ისე მის ექსპოზიციასაც. ამის მისაღწევად კი დიდი შრომა დაიხარჯა — „ჯოკონდა" მოგზაურობდა კონტეინერით, რომელიც გამოიყენეს 1963 წელს აშშ-ში მისი თვითმფრინავით მოგზაურობის დროს. კონტეინერი მოთავსებული იყო სპეციალურ ყუთში.

„ჯოკონდას" მხოლოდ „ავადმყოფობა" არ ემუქრება. ეს ნათელი გახდა ტოკიოში გამოფენის გახსნის პირველსავე დღეს, როცა ახალგაზრდა იაპონელმა ქალმა მოისურვა წითელი საღებავით დაეფარა სახელგანთქმული ღიმილი. საბედნიეროდ, ლუვრის უსაყვარლეს პირმშოს ტყვიაგაუმტარი მინა იცავს. მას იცავს აგრეთვე სამოცი პოლიციელი. ასეთი სიფრთხილე ამაო არ არის, რამდენადაც მონა ლიზა ყოველთვის იწვევდა უცნაურ „იმპულსებს".

1956 წელს პარიზში გაგიჟებულმა ბოლივიელმა უგო უნგაზა ვილეგასმა სურათს უზარმაზარი ქვა ესროლა. დამცველი მინა დაიმსხვრა, მაგრამ „ჯოკონდას" მხოლოდ ოდნავ გაეკაწრა მარცხენა მხარი. მონა ლიზაზე თავდამსხმელი უმალვე დააპატიმრეს და ფსიქიატრების დასკვნის შედეგად — საავადმყოფოში მოათავსეს.

ისიც ფაქტია, რომ „ჯოკანდა" ფანატიურ ფსიქოზს იწვევს. ამგვარი „ფსიქოზებისაგან" კი აუცილებელია სურათის დაცვა. ასევე საჭიროა თვით „დემონური" სურათის უბედურ მსხვერპლთა დაცვაც. მაგრამ როგორ უნდა გაეთვალისწინებინათ გასული საუკუნის მხატვრის ლიუკ მასპეროს საქციელი? მხატვარი გადმოხტა სასტუმროს პატარა ოთახის ფანჯრიდან სენ-დენის ქუჩაზე და თავი მოიკლა იმიტომ, რომ „ვერ გაიგო" „ჯოკონდას" საიდუმლო.

მაგრამ გაიგებს კი ამ საიდუმლოს ვინმე, ოდესმე?

ლეონარდო და ვინჩის მიერ ფლორენციაში 1503-1507 წლებში შექმნილ ტილოზე გამოხატულია ოცდაოთხი წლის ქალი მონა ლიზა გერარდინი, ფლორენციელი ბანკირის ფრანჩესკო დი ძანობი დელ ჯოკონდას მესამე ცოლი. ზოგიერთები იმასაც კი ამბობენ, თითქოს სურათზე ჟანდარმერიის რომელიღაც კაპიტანი იყოს გამოსახული!

ვინჩენცო პერრუჯას სრულებით არ აინტერესებდა ეს საკითხები, როცა 1911 წლის 21-22 ივნისს ღამით მშვიდად მოიპარა „ჯოკონდა" და ამით გამოიწვია წლის ყველაზე დიდი სკანდალი. საქმემ მაშინვე მიიღო გრანდიოზული მასშტაბი, — გრანდიოზული და კომიკური. ამას პოლიტიკაც დაემატა: მემარჯვენენი ლუვრის მცველებს დაუდევრობას, უპატიოსნებასა და უმოქმედებას აბრალებდნენ. „აი კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ისინი პროფკავშირების წევრები არიან", — აღნიშნავდა რომელიღაც რეაქციონერი დეპუტატი. ზოგი კი იმასაც ამბობდა, გაძარცვაში გერმანიის ხელი ურევიაო. ერთდროულად ქურდობაში ბრალი ედებოდათ პოეტ აპოლინერს (ის დააპატიმრეს კიდეც) და პაბლო პიკასოს. სინამდვილეში კი აი, რა მოხდა: ქურდმა მესარკეების ბრიგადაში დაიწყო მუშაობა. შეისწავლა დარბაზების განლაგება და ელოდა ხელსაყრელ მომენტს. ერთ საღამოს დარჩა ლუვრში, მშვიდად ჩამოხსნა სურათი და გავიდა საიდუმლო დერეფნით, რომელიც მხოლოდ იქაურმა თანამშრომლებმა იცოდნენ. შეასრულა რა ეს აქცია, მან სურათი შეინახა თავის სახლში სენლუი ან-ილ-ის ქუჩაზე, № 5-ში. ერთხელ მასთან პოლიციაც კი მივიდა. იგი დაკითხეს, ბინაც გაჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი იპოვეს. ინსპექტორი ოქმს ადგენდა პატარა მაგიდაზე, რომელსაც სუფრა ეფარა. „ჯოკონდა" სუფრის ქვეშ იყო.

სურათი იპოვეს 18 თვის შემდეგ ფლორენციაში, როცა ვინჩენცო პერრუჯას მისი გაყიდვა უნდოდა 500 000 ფრანკად. ქურდს მიესაჯა ერთი წლითა და ერთი დღით პატიმრობა. „ჯოკონდა" კი ლუვრში დაბრუნდა. ამის შემდეგ მისი დიდება გაიზარდა. უამრავი ხალხი მოდიოდა მის სანახავად. ვერც რეკლამამ აუარა გვერდი „ჯოკონდას". მისი სახე გაჩნდა ყველზე, შოკოლადზე, ლაბადებზე, მინერალურ წყლებზე და ა. შ. იგი მოდელადაც გამოიყენეს მთელი მსოფლიოს კარიკატურისტებმა.

მოშურნეებმა ისიც კი გამოაცხადეს, თითქოს ლუვრში ყალბი „ჯოკონდა" ინახებოდეს, ამგვარი ინსინუაციები არასდროს არ აღელვებდნენ ნაციონალური მუზეუმების მესვეურებს. დღეს სამოცამდე „ჯოკონდა" არსებობს. მაგრამ ერთადერთი მონა ლიზა დასცინის თავის მოჭიშპეებს.

# კრიმინალისტიკა დანაშაულობასთან ბრძოლაში



ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგინდა ისიც, რომ მასრის გახურების შედეგად გასროლილ ტყვიას საკმარისი ძალა აქვს სასიკვდილო ჭრილობის მისაყენებლად. გარდაცვლილის სიტყვების ჭეშმარიტება ნათელი გახდა.

თბილისის ერთ-ერთ დაწესებულებაში ბანკიდან გამოიტანეს საკმაოდ დიდი თანხა ხელფასის დასარიგებლად. იმავე დღეს მთელი ხელფასის გაცემა არ მოხერხდა და ფული სეიფში შეინახეს, მეორე დილით კი გამოირკვა, რომ სეიფი გაეტეხათ და ფული გაეტაცებინათ.

დათვალიერებისას სეიფის გვერდით კედელში ნახვრეტი აღმოჩნდა. ამ ნახვრეტის ნაპირებზე დარჩენილი კბილანების შესწავლით დადგინდა, რომ კედელი ხვრეტელათი გაეჭრათ: ნახვრეტი იმდენად პატარა იყო, რომ მასში შეიძლებოდა მხოლოდ ბავშვის ხელი შეტეულიყო. გამოითქვა აზრი, რომ დამნაშავე პატარა ტანისა უნდა ყოფილიყო, მას შეიძლებოდა ხელიც გაეფხაჭნა სეიფის გახვრეტილი ადგილის არასწორ ნაპირებზე. ოთახის კარი და ფანჯრები გატეხილი არ იყო. ვარაუდობდნენ, რომ ფული ამავე დაწესებულების თანამშრომლის მიერ იქნებოდა გატაცებული. მალე ყურადღება მიაქციეს იმას, რომ ერთი თანამშრომელი ხელშეხვეული დადიოდა. როდესაც ნახვევი მოხსნეს, აღმოჩნდა, რომ ხელი დაკაწრული ჰქონდა. ეჭვმიტანილმა განაცხადა, ხელი შინ სამზარეულოში გავიკაწრეო.

ქართველმა კრიმინალისტებმა ნაკაწრების დამახასიათებელი დეტალებით დაადგინეს, რომ ეჭვმიტანილს ხელი სეიფის ნახვრეტის ნაპირებზე ჰქონდა დაკაწრული. გარდა ამისა, დადგინდა სეიფის ლითონისა და იმ ლითონის მტვერის ერთგვაროვნება, რომელიც დამნაშავის პიჯაკზე აღმოაჩინეს.

ის გარემოება, რომ ხელწერა ინდივიდუალურია, რომ არსებობს შესაძლებლობა გაარჩიო ერთი ადამიანის ნაწერი მეორისაგან, რა თქმა უნდა, დიდი ხანია ცნობილი იყო, მაგრამ, სახელდობრ, როგორ დაედგინათ განსხვავება, არ იცოდნენ.

ექსპერტიზისაგან საუკუნეების მანძილზე მოითხოვდნენ ისეთი „საიდუმლოების" ცოდნას, რომელიც უბრალო ადამიანისათვის მიუღწეველი იყო. ხელნაწერის სასამართლო ექსპერტიზის ჩასატარებლად იწვევდნენ სუფთა წერისა და ხატვის მასწავლებლებს, პოლიგრაფიის, ლითოგრაფიის მუშაკებს, გრავიურების შემსრულებელთ. მაგრამ მათ შორის თვით ყველაზე კეთილსინდისიერებსაც არ შეეძლოთ აღმოეჩინათ რაიმე სხვა, თუ არა ხელწერის გარეგნული მსგავსება. ცოდნა არ გააჩნდათ, უკეთეს შემთხვევაში, მთავარ როლს ინტუიცია ასრულებდა.

ხელწერის კრიმინალისტური ექსპერტიზის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე შავ ფურცლად ითვლება დრეიფუსის საქმე. გენერალური შტაბის ოფიცერს, საფრანგეთის არმიის კაპიტანს ბრალი დასდეს ჯაშუშობაში იმის გამო, რომ ექსპერტმა ბერტელიონმა მისი ხელი საიდუმლო დოკუმენტების ხელწერას მიამსგავსა. დრეიფუსი მხოლოდ 20 წლის შემდეგ, 1906 წელს იქნა რეაბილიტირებული.

ახლა ჩვენი ცოდნა იმდენად დიდია, რომ სპეციალისტს შეუძლია უშეცდომოდ დაადგინოს თითოეული მოქალაქის ხელწერა.

პრაქტიკიდან შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითი, როდესაც ქართველმა კრიმინალისტებმა დაადგინეს ძველი დოკუმენტის ავტორი, იგი ცნობილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ორბელიანი აღმოჩნდა.

(დასასრული).

როგორც ცნობილია, პუშკინისა და დანტესის დუელის მიზეზი გახდა ანონიმური წერილი, რომელიც პუშკინმა მიიღო. ბოლო ხანებამდე არ იყო დადგენილი მისი ავტორი, ეჭვი კი სამ პირზე ჰქონდათ: ბარონ ლუი გეკერზე, თავად ივანე გაგარინსა და პეტრე დოლგორუკოვზე. ლენინგრადელი კრიმინალისტის ა. სალკოვის მიერ ჩატარებულმა ექსპერტიზამ საბოლოოდ დაადგინა, რომ წერილი პ. დოლგორუკოვის დაწერილია.

ბევრი რამ შეიძლება ითქვას აგრეთვე მთელის დადგენაზე მისი ნაწილების მიხედვით და კვალის მნიშვნელობის შესახებ (ტრასოლოგიური ექსპერტიზა) საგამომძიებლო პრაქტიკაში. პირველის მაგალითია სოფელ შხონში მომხდარი მკვლელობა. დამნაშავეს ფეხსაცმელზე ასძვრა ქუსლი, რომლის მიხედვითაც შემდგომში კრიმინალისტურმა ექსპერტიზამ დამნაშავე იპოვნა. მეორის მაგალითია დამნაშავეთა ჯგუფის აღმოჩენა, რომლებიც ფეხსაცმლის სახელოსნოებში „მუშაობდნენ". იქ ქალის ფეხსაცმელი იკერებოდა და იყიდებოდა კერძო ბაზარზე, ხოლო ბანკში ბავშვის ფეხსაცმლის ღირებულება შედიოდა. კრიმინალისტურმა ექსპერტიზამ ბავშვის ფეხსაცმლის კალაპოტებზე ლურსმნების კვალის მიხედვით დაადგინა, რომ ეს ფეხსაცმელი გაცილებით უფრო ცოტა იკერებოდა, ვიდრე ანგარიშებში იყო აღნიშნული.

და ბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ რამდენადაც უფრო კარგად მუშაობენ კრიმინალისტები, რამდენადაც უფრო მაღლა დგას დანაშაულის გახსნის მეცნიერება, იმდენად შემცირდება დანაშაულის შემთხვევები.




# კროსვორდი



ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ: 3. უსიტყვო თეატრალური წარმოდგენა. 7. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი. 8. სამუსიკო საკრავი. 10. ფრანგი კინომსახიობი. 11. დედაკაცი. 12. სახელმწიფო აზიაში. 14. თეთრი კირქვა. 17. მინერალი. 19. საბჭოთა მსახიობი — სატირიკოსი. 21. ვერცხლისწყალი. 24. სახელმწიფო აფრიკაში. 27. წლოვანება. 28. მდინარე გერმანიაში. 31. მჭრელი მახვილი. 32. საქონლის შეზიდვის ან გაზიდვის აკრძალვა სახელმწიფოში. 33. მწვერვალი კავკასიონზე. 34. ქართველი მწერალი. 35. სახლის ზედა ნახევარსართული.

ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ: 1. ბრძოლის მომზადებისა და წარმოების თეორია და პრაქტიკა. 2. წყალხმელეთა ცხოველი. 4. მუსიკალურ ნაწარმოებთა შემსრულებელი კოლექტივი. 5. პატივმოყვარეობა. 6. თოვლზე სასრიალო უთვლო საზიდარი. 7. მაიმუნი. 9. მომწამლავი გაზი. 13. სახელმწიფო აფრიკაში. 14. ალ. ყაზბეგის მოთხრობა. 15. სახელმწიფო აზიაში. 16. ოსური ცეკვა. 18. თითოეული წევრის მიერ შეტანილი წილი რაიმე საერთო საქმეში. 20. საბჭოთა მოჭადრაკე. 21. ზოგიერთი მოლუსკის ნიჟარის შიდა ფენა. 22. თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა. 23. ქართველი მხატვარი. 25. რისამე ზემოქმედების საპასუხო მოქმედება. 26. სამეცნიერო ხარისხი საფრანგეთში. 29. ნავთობპროდუქტი. 30. მრგვალთავა ჯოხი.

## „დროშის" № 7-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხი

ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ: 1. ლირიკოსი. 2. გოგოთური. 3. დანია. 4. კანდელაკი. 5. უბედი. 6. კოსინუსი. 7. კლარნეტი. 13. ლეონიძე. 14. ანალები. 16. ბანკი. 17. არმია. 18. მასრა. 19. სეიმი. 22. „განდეგილი". 24. პედიატრი. 25. კოალიცია. 27. „მზეთამზე". 28. რეალისტი. 30. გალია. 31. იარდი.

ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ: 8. ხიროსიმა. 9. „ბერშოულა". 10. სიმონოვი. 11. დუბლიორი. 12. ალენი. 13. ლიტავრა. 15. ლიბია. 18. მისია. 20. მინომანია. 21. ბალისტიკა. 23. ეპიკა. 26. ამირა. 29. ესენინი. 30. გრემი. 32. „პარიზანა". 33. აბერაცია. 34. არტიკული. 35. დეპოზიტი.



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიმდინარე წელს ცნობილ ქართველ მეცნიერს, მოსკოვის უნივერსიტეტის ქართული კათედრის დამაარსებელს, პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილს დაბადების 110 წელი შეუსრულდა.

ამ თარიღთან დაკავშირებით, ვფიქრობ, მკითხველებისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება ერთი საგულისხმო ამბის გახსენება.

1966 წლის 25 ივლისს კარლ მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორს პავლე კანდელაკს მოძმე სომხეთიდან ძვირფასი საჩუქარი გადასცეს. ამ საჩუქრის გადაცემის მოწმე მეც გახლდით.

რა იყო ეს საჩუქარი და საიდან მოხვდა იგი სომხეთში?

სამოცდათოთხმეტი წლის წინათ პეტერბურგში მცხოვრები ქართველები აღფრთოვანებით შეეგებნენ მოსკოვის უნივერსიტეტში ქართული კათედრის დაარსებას.

აი რას სწერდნენ ისინი ალექსანდრე ხახანაშვილს:

„დაბეჩავებულ საქართველოს ცხოვრებაში სანეტარო ჟამს ჩამოუკრავს და ეროვნული თვითშეგნების მიჩუმებული მაჯისცემა აჩქარებულა და სასურველ გაწაფვის გზაზე დამდგარა. მრავალგზის გულგატეხილნი — დღეს მეტის თანაგრძნობით და სანუგეშო გულისთქმით ეგებებიან და ესალმებიან ქართული ისტორია-სიტყვიერების სანიმუშო კათედრის დაარსებას რუსეთის უძველეს უნივერსიტეტში“...

ამ კათედრის სულისჩამდგმელს ალექსანდრე ხახანაშვილს პეტერბურგში მცხოვრებმა სამოცდაათმა ქართველმა მისალმების წერილთან ერთად გ. ქართველიშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიერი გამოცემაც მიუძღვნა საჩუქრად. შოთას უკვდავი პოემა ორიგინალურ ყდაშია ჩასმული. ყდის მარცხენა კუთხეში მიმაგრებულია ვერცხლის ფირფიტა წარწერით:

# საჩუქარი სომხეთიდან

**პროფესორ ალექსანდრე სოლომონის ძე**
**ხახანაშვილს.**
**პეტერბურგელი ქართველებისაგან.**
**25/XII-1900 წელი.**

საჩუქარს თან ახლავს ვრცელი ადრესი, რომელზეც ხელს აწერს პეტერბურგში მცხოვრები სამოცდაათი კაცი. მათ შორის არიან გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები: ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, სპირიდონ ვირსალაძე, ნიკო შარაბიძე, ნინო ნატროშვილი, ალექსანდრე ნანეიშვილი და სხვები.

როგორც ცნობილია, ა. ხახანაშვილმა თავისი ბიბლიოთეკისა და არქივის ნაწილი უანდერძა მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტს, ნაწილი კი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

1929-30 წლებში ლაზარევის ინსტიტუტის ფონდები და ავეჯი წაუღია ა. მიასნიკიანის სახელობის სომხეთის სსრ სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას, სადაც პროფესორ ა. ხახანაშვილის სხვა უამრავ წიგნებთან ერთად პეტერბურგელი ქართველების მიერ მისადმი მიძღვნილი „ვეფხისტყაოსანი“ და ადრესიც ინახებოდა.

დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავთან დაკავშირებით სომეხმა მეგობრებმა ა. ხახანაშვილისადმი მიძღვნილი „ვეფხისტყაოსანი“ და ადრესი ერევნიდან თბილისში ჩამოიტანეს და მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას გადასცეს.

**მიხეილ ჟვარელაშვილი,**
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი

# მეგზური

დილაუთენია მატარებელი სადგურში ჩამოდგა და ბაქანს კედელივით აეყუდა.

ბაქანზე, ამდენ ხანს ხალვათობა რომ იყო, ახლა ხალხმა იხუვლა და ერთმანეთში აირია მომსვლელი და წამსვლელი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი. წითელქუდა ვაგზლის მორიგე მოყაყანე უბილეთოთა ჯგროს ედგა სათავეში, ხელში საწერ-კალამი მოემარჯვებინა და ბუზღუნ-ბუზღუნით მიიკვლევდა გზას პირველი ვაგონისაკენ.

პიჟამოსამარა, ნაბახუსევი მგზავრები მატარებლიდან ბუფეტს ასკდებოდნენ და არაყს ხუხავდნენ.

ძილგამკრთალი კეკლუცები იზმორებოდნენ, ლილისფერ წამწამებს აპარპალებდნენ, ჩექმის ყელს მაღლა იზიდავდნენ, ხანგრძლივი ჯდომისაგან დაჭმუჭნილ კაბას ისწორებდნენ.

ერთ საკინძეგახსნილ, ბრტყელულვაშიან კაცს — მხარზე რომ ხორაგით დახუნძლული ჭოკი გაედო, ორი ჩია ქალი ამოღლიავებოდა მარჯვნივ და მარცხნივ და ვაგონისაკენ მიაჩანჩალებდნენ.

მაყრადყოფილი შეჩერდებოდა, გაიჯგიმებოდა, თვალს მოჭუტავდა და წრიპინა ხმით რომელიღაც ბაიათს აწვალებდა.

— გაგისკდა მიწა! — ეტყოდა მარცხენა და წაუბიძგებდა.

— შენი კუბო დავდგი! — მუჯლუგუნს უთავაზებდა მარჯვენა.

საერთო ვაგონიდან გამცილებელმა გალეული, შავად შემოსილი დედაბერი ჩამოაცილა, იქვე მდგომ მილიციელს რაღაც ანიშნა და მგზავრი, ხელჯოხი და ფუთა ჩააბარა.

წესრიგის დამცველმა შაოსანი ტაქსამდე მიიყვანა, უკანა სავარძელზე დასვა, ბოხჩა ჩაუდო, საბიჯელი მოუმარჯვა.

ქალს ფერი დაკარგვოდა, თვალები ჩანავლებოდა, დაკაწრული ღაწვები ჩაცვენოდა. იჯდა და, თუ ქვედა აცახცახებული ყბა არა, აბა ვინ მიხვდებოდა, რომ მასში სიცოცხლე სუნთქავდა?!

— წყალი ხომ არ მოგართვათ, ქალბატონო? — შეეკითხა მილიციელი.

— გმადლობთ, გენაცვალე, წყალობა ნუ მოგაკლოს გამჩენმა, — ტუჩები ააცმაცუნა.

— საით წაგიყვანოთ? — შეეკითხა ქერათმიანი ახალგაზრდა დედაბერს.

სოფელი დაუსახელა.

მანქანა დაიძრა.

გაზაფხულის დილა თენდებოდა, სიცოცხლე იბადებოდა: ჩიტის ბუდეში, ხის კვირტში, ვაზის ყვავილებში, ბალახის თვალში...

დედაკაცი კუთხეში მიყუჟულიყო, სევდის ბურანში გახვეულს მანქანა თოჯინასავით ატოკებდა.

შოფერი სისხამ დილამ თუ დაცადა — ცხვირი დააცემინა.

მოხუცი ვაივაგლახით წამოდგა, საბიჯელს დაებჯინა, ახალგაზრდას მხარზე ხელი დაარტყა და მის მოსვლამდე არაფერი გეტკინოსო, ჩაიჩიფჩიფა.

— მანქანა გავაჩერო? — ყრუდ იკითხა შოფერმა.

— არა, არა, შვილო... ეხ... ჩვენი ჩვეულებაა. ერთადერთი ბიჭი ქალაქში მივაბარე მიწას, იქიდან მოვდივარ... იმ ურძეო რძალმა ცხედარიც არ დამანება... აქ მე დავრჩი უპატრონოდ და იქ — ხელი სასაფლაოსაკენ გაიშვირა — მამამისი...

გაზაფხულის დილა თენდებოდა.

ძუძუთა ბავშვის, აფუებული მიწისა და ია-იას სურნელი ტრიალებდა ჰაერში.



# დიალოგი ფიშერთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილ იუგოსლაველ საჭადრაკო მიმომხილველ დიმიტრიე ბელიცას კარგა ხანს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა მსოფლიო ჩემპიონ რობერტ ფიშერთან. მის წიგნებში „ბობი ფიშერი კარიბჭესთანაა“ და „ახლოდან დანახული გროსმაისტერები“, ბევრი რამ საინტერესოა მოთხრობილი გამოჩენილ ამერიკელ მოჭადრაკეზე. ამასწინად ბელიცამ დაამთავრა ახალი წიგნი „საუბრები ფიშერთან“. აი ერთი ნაწყვეტი ამ ნაშრომიდან.

**— რას ნიშნავს ფიშერი?**

— ჩემი გვარი გახლავთ.

**— რა გაინტერესებს ჭადრაკის გარდა?**

— მუსიკა, ტელევიზია, რადიო, სპორტი, ფეხით გასეირნება, მოგზაურობა... ერთი სიტყვით, ბევრი რამ.

**— ხომ არ ნანობ ზოგჯერ, რომ შენი ბედი მთლიანად ჭადრაკს დაუკავშირე?**

— არა, არ ვნანობ. თუმცა ზოგჯერ კი ვფიქრობ, ჭადრაკი რომ არ ყოფილიყო, ურიგო მომღერალი როდი გამოვიდოდი.

**— ამბობენ, რომ თამაშობ სრულყოფილი მანქანასავით, უშეცდომოდ. ასეა თუ არა?**

— არა, ასე არ არის. მანქანისა არ ვიცი, მაგრამ ადამიანი, ჩემის აზრით, ვერასოდეს შეძლებს უშეცდომოდ თამაშს.

**— ყოველდღიურად რამდენ დროს უთმობ ჭადრაკს?**

— ძნელი სათქმელია, ხან როგორ და ხან როგორ... მე ძალიან ბევრს ვფიქრობ ჭადრაკზე. ხშირად საჭადრაკო სიზმრებსაც კი ვხედავ. ზოგჯერ სეირნობის ან ჭამის დროსაც კი ზეპირად ვარჩევ საჭადრაკო პარტიებს.

**— ამბობენ, რომ შენ ზეპირად გახსოვს ასობით პარტია?**

— არა, ათზე მეტი არ მახსოვს.

**— შენი პარტიებიდან რომელი მიგაჩნია საუკეთესოდ?**

— ის, რომელიც დონალდ ბირნს მოვუგე. მაშინ 13 წლისა ვიყავი.

**— დაასახელე წარსულის 8 უძლიერესი მოჭადრაკის საკუთარი ვარიანტი.**

— მორფი, ანდერსენი, სტეინიცი, ტარაში, ჩიგორინი, ლასკერი, კაპაბლანკა, ალიოხინი.



**— ვინ მიგაჩნია თანამედროვეობის უძლიერეს მოჭადრაკეებად?**

— პეტროსიანი, სპასკი, ლარსენი, ტალი და კორჩნოი.

**— ფიშერი სადღაა?**

— თავისთავად ცხადია, რომ მეც მათ რიცხვში შევდივარ. არ მინდა სიამაყე დამწამონ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ახლა ყველაზე ძლიერად ვთამაშობ.

**— როგორ წარმოგიდგენია ყველა დროის უძლიერეს მოჭადრაკეთა ორეული?**

— მორფი და სტეინიცი.

**— მიგაჩნია თუ არა, მორფის ახლა რომ ეთამაშა, წარმატებას მიაღწევდა?**

— მიაღწევდა. მას დაახლოებით ექვსი თვე დასჭირდებოდა, რათა თანამედროვე თეორია ესწავლა, რის შემდეგ შეეძლო ებრძოლა მსოფლიო ჩემპიონობისათვის.

**— და მოეგო მატჩი ფიშერთან?**

— არა...

**— პეტროსიანს მიაჩნია, რომ ჩვენს დროში ძნელია ისეთი საჭადრაკო ჩემპიონის გამოჩენა, რომელიც მთელი თავით აღემატება დანარჩენ კონკურენტებს, და არ არის მხოლოდ პირველი თანასწორთა შორის. რას ფიქრობთ ამ საკითხთან დაკავშირებით?**

— მე მიმაჩნია, რომ ჩემპიონს სრული, აშკარა უპირატესობა უნდა ჰქონდეს სხვა გროსმაისტერებთან შედარებით. სხვანაირად იგი რაღა ჩემპიონია!

**— შენ რვაჯერ გახდი აშშ-ს ჩემპიონი. საბჭოთა კავშირში რომ გეცხოვრა, შეძლებდი ამდენჯერვე გამხდარიყავი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი?**

— მე დაბეჯითებით ვერ ვიტყვი ამას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ვერც ერთი მოჭადრაკე, ჩემს გარდა, ვერ გახდებოდა აშშ-ს რვაგზის ჩემპიონი.

**— ვინ მიგაჩნია შენს მთავარ მასწავლებლად?**

— მე ვსწავლობდი ძირითადად კაპაბლანკასა და რუსული საჭადრაკო სკოლის წარმომადგენლების პარტიების მიხედვით.

**— მართალია თუ არა, რომ პოლიტიკა გაინტერესებს?**

— მე ბევრს ვმოგზაურობ, სხვადასხვა ადამიანებს ვხვდები. რა თქმა უნდა, მაინტერესებს მოვლენები, რომლებიც მსოფლიოში ხდება, ხშირად ვფიქრობ კაცობრიობის მომავალზე.

**— ვინ არიან შენი საყვარელი მწერლები?**

— ბავშვობაში ტარზანის თავგადასავალი მაინტერესებდა. შემდგომ მარკ ტვენისა და ჯეკ ლონდონის მოთხრობები მომეწონა.

**— იცნობ შექსპირის შემოქმედებას?**

— სწორი გითხრათ, მე ახლა მეტი ინტერესით ვკითხულობ ჟურნალგაზეთებს, ვიდრე წიგნებს.

**— მოგწონს თუ არა გამოჩენილ ადამიანთა ხვედრი?**

— არაფერი მაქვს საწინააღმდეგო.

**— როგორ წარმოგიდგენია ჭადრაკის მომავალი?**

— იმედი მაქვს, რომ ჭადრაკის პოპულარობა სულ უფრო გაიზრდება, სულ უფრო მეტი საჭადრაკო ტურნირი და მატჩი ჩატარდება, ბევრი საჭადრაკო წიგნი გამოიცემა. ბევრი იმაზეც არის დამოკიდებული, როგორ შედეგებს მიაღწევენ საჭადრაკო მანქანები. შესაძლოა, სპეციალურ ტურნირებსაც მოაწყობენ მანქანებისათვის...

**— ხომ არ გეშინია, რომ თანდათან გაჩნდება ისეთი მანქანა, რომელიც მოგიგებს კიდეც?**

— არა, ჭადრაკის დაფასთან მე არც ადამიანებისა მეშინია და არც მანქანებისა. საერთოდ არავის ვუფრთხი, ჟურნალისტების გარდა. ამასთან ერთად, დრო ხომ არ არის საუბარი დავამთავროთ?

## იუმორესკა

## დედისერთა ბახალა

**ყვავმა შვილი მუსიკალურ სასწავლებელში მიიყვანა. დედა ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მის ბახალას მუსიკის დიდი ნიჭი ჰქონდა.**

**— ენაცვალოს დედა, მთლად მუსიკისთვისაა დაბადებული, — უთხრა ბულბულს ბახალას დედამ.**

**ბულბულმა გულდასმით მოისმინა ყვავის ჩხავილი, მაგრამ ბახალას მუსიკალური სმენის ნატამალიც კი არ აღმოაჩნდა.**

**ბახალას დედამ ჩხავილით აიკლო იქაურობა, მაგრამ ბულბულს აზრი ვერ შეაცვლევინა.**

**გაბრაზებული ყვავი ჩხავილ-ჩხავილით აფრინდა სკოლის დირექტორ გუგულთან.**

**— გეთაყვა, რატომ ნერვიულობთ? — დაუყვავა ყვავს გუგულმა, — ყველასათვის ცნობილია, რომ ბულბული მუსიკალური ნიჭის შეფასებაში არ შეცდება.**

**ყვავი აჩხავლდა.**

**— ესე იგი ჩემი შვილი უნიჭოა და ვიღაც შაშვის შვილი ქარაფშუტასავით რომ სტვენს, ნიჭიერი?**

**— რომელ შაშვზე ჩხავი, არ ვიცი, ალბათ, იმ შაშვს...**

**ყვავმა არ დააცალა გუგულს.**

**— ყველაფერი გასაგებია! წრიპა შაშვისათვის აუცილებელია იადონის მუსიკის სწავლა, ჩემი ნიჭიერი ბახალა კი სკოლის გარეშე უნდა დარჩეს, ეს არის თქვენი კანონი?**

**ყვავმა იმდენი იჩხავლა და მიაღწია იმას, რომ მისი ბახალა კომისიამ მეორეჯერ შეამოწმა, მაგრამ პირველი შემოწმების დასკვნა ძალაში დარჩა.**

**ამის შემდეგ გაბოროტებული ყვავი დაფრინავდა სხვადასხვა ინსტანციებში, ჩხავილით იკლებდა ყველას და მოითხოვდა აღმოეჩინათ არარსებული ნიჭი.**

**ერთ დღეს გუგულმა ბულბული გამოიძახა და უთხრა:**

**— რა ვქნათ, რა ვიღონოთ?.. დედამისი კიდევ დაჩხავის...**

**— იმას ხომ სმენა სრულებით არა აქვს?!**

**— ეს ჩვენ ვიცით და ბავშვიც ხვდება, მაგრამ დედამისმა რომ ვერ გაიგო?**

გიგლა ბახტაძე

# ნაირ-ნაირი

ნაირ-ნაირი



## ახალი რეკორდსმენი

შოტლანდიელმა ტრევორ რობინსონმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა... ჩაის სმაში. 9 საათსა და 56 წუთის განმავლობაში მან 100 ფინჯანი ჩაი დალია.

ახალმა ჩემპიონმა განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიურად 20 ფინჯან ჩაის ვსვამ, ერთჯერად 100 ფინჯანი ჩაის დალევა ძალიან გამიძნელდაო.



## ზუსტად თორმეტი დღე

უძილობის მსოფლიო რეკორდი კარგა ხანს ეკუთვნოდა ვინმე ბერტა ვან დერ მერვეს, რომელმაც უძილოდ გაძლო 11 დღე, 17 საათი და 55 წუთი.

ეს რეკორდი ამას წინათ მოხსნა სან-დიეგოელმა (აშშ) ბიზნესმენმა როჯერ ინგლიშმა. ახალმა მსოფლიო რეკორდსმენმა ზუსტად 12 დღე იფხიზლა.



## სჯობს გვიან...

ამერიკელმა ბერტა ფარმერმა სასწავლო წლის დაწყების წინ სასიხარულო ცნობა მიიღო შინ: იგი ნიუიორკის ერთ-ერთ კოლეჯში ჩაირიცხა სასწავლებლად.

„ბავშვობიდან ვოცნებობდი კოლეჯში სწავლაზე, მაგრამ სიღარიბე ამის საშუალებას არ მაძლევდა“, განუცხადა პრესის წარმომადგენლებს გახარებულმა ბერტა ფარმერმა.

ბედნიერი სტუდენტი ამჟამად... 85 წლისაა.

## გადახერხილი ძეგლი

ძვირფასი ნახატების, ხატების, ჰედური ნიმუშებისა და სხვა მსგავსი „წვრილმანეულის“ გატაცებიდან იტალიელი მძარცველები უკანასკნელ ხანებში უფრო მსხვილ ოპერაციებზე გადავიდნენ.

ერთ-ერთი ასეთი ოპერაცია მათ ამას წინათ ჩაატარეს ქალაქ პალერმოში. კარაფოს მოედნიდან დღისით, მზისით, თვალსა და ხელს შუა, მოულოდნელად გაქრა მარმარილოს ძეგლი — XVII საუკუნის სკულპტურული ჯგუფის ერთ-ერთი უნიკალური ნიმუში.

პოლიცია ვარაუდობს, რომ ქურდებმა ძეგლი რამდენიმე ნაწილად გადახერხეს და გაურკვეველი მიმართულებით გაიტანეს.



## ვინ არის ჰაინრიხ ჰაინე?

დიდი გერმანელი პოეტის ჰაინრიხ ჰაინეს მშობლიური ქალაქის დიუსელდორფის მკვიდრთა შორის თავისებური გამოკითხვა მოაწყეს. გამოირკვა, რომ 17 დაკითხული ჰაინრიხ ჰაინეს მაგიდის ჩოგბურთის ცნობილ მოთამაშედ თვლის, 5 მოქალაქეს იგი მსუბუქი წონის მოჭიდავე ჰგონია, 2 გამოკითხული კი დარწმუნებულია, რომ ჰაინრიხ ჰაინე ბუნდესტაგის დეპუტატია.

გამოკითხულთაგან მხოლოდ 19 კაცმა გასცა სწორი პასუხი პოეტის ვინაობის შესახებ დასმულ კითხვაზე.



## შურისძიება

ქ. კლივლენდის (აშშ, ოჰაიოს შტატი) მცხოვრებმა ქალბატონმა მებე დანიელსონმა თვალცრემლიანი განუმარტავდა სასამართლოს: „ჩემი ქმარი ძალიან სასტიკად მექცევა, პირდაპირ მხეცურად მტანჯავს და მაწამებს. იცის რა, რომ მე ძალიან მიყვარს დეტექტიური რომანების კითხვა, იგი ჩუმად მომპარავს ხოლმე ახლად დაწყებულ წიგნს. იქვე, წიგნის არშიაზე წინდაწინვე მიაწერს მკვლელის გვარს და ჩემთვის სრულიად უინტერესოს ხდის რომანს. ეს ამბავი მე ძალიან მანერვიულებს. გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩემი სავალალო მდგომარეობა და ქმართან გამყაროთ“.

სასამართლომ დააკმაყოფილა „უბედური ქალის“ თხოვნა და „ქმრისგან განსაკუთრებული გაიძვერული სიმკაცრის გამოჩენის გამო“, იგი მეუღლესთან განაქორწინეს.



ნაირ-ნაირი

ნაირ-ნაირი

ნაირ-ნაირი

გადაეცა ასაწყობად 10/VII-74 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/VII-74 წ., ქაღალდის ზომა 70×108¹/₈, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9, ტირაჟი 53.000 შეკვ. 2559, უე 01848, ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.



უსიტყვოდ. ნახატი ანდრო კანდელაკისა.



— ჯულიეტა, პირდაპირ აეროდრომიდან გამოვიქეცი შენთან!

ნახატი მურთაზ აბაშიძისა.



— გააშველე!.. მოკლეს ერთმანეთი!

— შენ არ მასწავლე, სხვის საქმეში არ ჩაერიოო.

ნახატი მურთაზ აბაშიძისა.



შემთხვევა მეტროში.

ნახატი მურთაზ აბაშიძისა.

## კაკალ გულში



„კომეტა" მზადაა... ფოტო თარხან არჩვაძისა.

ИНДЕКС 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა